ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ორშაბათი, 19 დეკემბერი, 2022 | №249 (9027) | ფასი: 80 თეთრი



გვ.4

## მარნეულში კაცი საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს

## რუსმა ტურისტმა ისტორიული ციხე დააზიანა — შსს-მ გამოძიება დაიწყო



გვ.4

# „სალომე ზურაბიშვილმა „ქართულ ოცნებას“ უთხრა, რომ მზად არის, სააკაშვილი შეიწყალოს“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „ჯოჯოხეთურია ის პასუხისმგებლობა, რომლის წინაშეც დგას პირველ რიგში „ქართული ოცნება“, შემდეგ — ექიმები და პრეზიდენტი ზურაბიშვილი“



## სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთიდან მასობრივი მიგრაცია აჩვენებს ჩვენს ტოლერანტობას, მაგრამ სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს სულელური“

გვ.3

## „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის მაინც ეშინია“



გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „იუსტიციის მინისტრმა საკუთარი თავის წინააღმდეგ განაჩენს ხელი მოაწერა“

## „ორმაგად დაცული უნდა ყოფილიყო სააკაშვილი სახელმწიფოსგან, როგორც პატიმარი და როგორც ავადმყოფი“



გვ.2

## ბექა ოდიშარია: „გინახავთ, მიშა სააკაშვილის დროს ადამიანებს გვამებზე რომ აზამდნენ?“

## ლევან ხაბეიშვილი: „ვიქნებით ყველგან, სადაც რუსი ოლიგარქი და მისი კრიმინალური „ბანდა“ იქნება“



გვ.3

## მეუფე გრიგოლი მიხეილ სააკაშვილის მონანიებას გეგმავს



გვ.3



გვ.5

## ირაკლი ღარიბაშვილი: „გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად გვაქცევს“

1993230720223


2 ნიკა მელია: „მაქსიმალური დარაზმვა, მაქსიმალური მობილიზაცია და გულახდილად საუბარი ერთმანეთთან“

4 რატომ ვერ ჩაითვლება რუსეთი ქრისტიანულ ქვეყნად?

5 პოლიციელი სამუშაო დროს პორნოს გადაღებით იყო დაკავებული

6 ხუთი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ერთი წლის ბავშვი ცოცხალი გადარჩა

# „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის მაინც ეშინია“

## პაატა ზაქარეიშვილი: „იუსტიციის მინისტრმა საკუთარი თავის წინააღმდეგ განაჩენს ხელი მოაწერა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.



***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? გასულ კვირას სააკაშვილის პროცესი იყო, რომელიც კვლავ გადაიდო და არც სააკაშვილს მისცეს უფლება, საკუთარ პროცესს დასწრებოდა, თუნდაც ონლაინჩართვით. პროცესამდე იუსტიციის მინისტრმა მუქარანარევი ტონით განაცხადა, ვაჩვენებთ საზოგადოებას სააკაშვილის კადრებსო და მეორე დღეს პირობა შეასრულა. უამრავი შეფასება მოვისმინეთ, საზოგადოების დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ეს არის კანონის დარღვევა, პატიმრის უფლებების შელახვა. რას იტყვით თქვენ?***

– რა თქმა უნდა, ასეა. „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად ცდილობს, მოახდინოს სააკაშვილისა და მისი სახით ნაციონალური მოძრაობის დისკრედიტაცია. აი, იუსტიციის მინისტრმა კი ხელი მოაწერა განაჩენს საკუთარი თავის წინააღმდეგ. მან პრაქტიკულად უხეშად, პირდაპირ დაარღვია ყველა ნორმა, როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე შიდა ქართული, რომ არ შეიძლება პირადი მონაცემების საჯაროდ გამოტანა, მით უმეტეს ავადმყოფისა და თანაც პატიმრის. ორმაგად დაცული უნდა ყოფილიყო სააკაშვილი სახელმწიფოსგან, როგორც პატიმარი და როგორც ავადმყოფი, ანუ იუსტიციის მინისტრი პირდაპირ ციხეში უნდა წავიდეს, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა პროკურატურას მომავალში! ჯერ დაიმუქრა და მერე შეასრულა. ეს არის შეგნებული პოლიტიკური გადაწყვეტილება.

> „ორმაგად დაცული უნდა ყოფილიყო სააკაშვილი სახელმწიფოსგან, როგორც პატიმარი და როგორც ავადმყოფი“

***– თავადვე გვიბიძგეს ამისკენო...***

– იუსტიციის მინისტრია და ისიც კი არ იცის, რომ სასამართლოც კი, როცა მას მოწმეები თუ ადვოკატები სთავაზობენ არასწორი ფორმით მოპოვებულ ინფორმაციას, თუგინდ დადასტურებულსა და დამაჯერებელს, მას არ განიხილავს, რადგან უკანონო გზითაა მოპოვებული. საქართველოს იმიჯი უნდა გადავარჩინოთო და, კი არ გადაარჩინა, დამარხა და დაასამარა! საქართველოში კანონი არ არსებობს. კანონის უზენაესობა არ არის. ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი, როგორც უნდა, ისე ახდენს მანიპულირებას ადამიანის უფლებებისას, მით უმეტეს პატიმრისას და მით უმეტეს ავადმყოფისას. ეს არის უდიდესი დანაშაული. ეს ამორალურობაზე მეტია! უზნეობაზე მეტია! არარაობაზე მეტია! ყველაფერზე მეტია. ეს არის პირდაპირი დანაშაული სახელმწიფოსი ადამიანის უფლებების მიმართულებით, მნიშვნელობა არა აქვს, სააკაშვილია, პეტრიაშვილი თუ ზაქარეიშვილი.

***– ანუ დაისჯება ბრეგაძე?***

– აუცილებლად! პირველად გამიჩნდა განცდა, ვინ შეიძლება დაისაჯოს, როდესაც „ქართული ოცნება“ წავა ხელისუფლებიდან. უამრავ საზიზღრობას ლაპარაკობენ იგივე კობახიძე თუ სხვები, მაგრამ ეს არის პირდაპირი დანაშაული. იუსტიციის მინისტრი რომ არ იყოს. კიდევ ჰო. გერმანიაში ვსწავლობდიო და ამას სწავლობდა გერმანიაში, როგორ დაარღვიოს ადამიანის უფლებები?!

***– ამ გადაწყვეტილებას იუსტიციის მინისტრი თავად ხომ ვერ მიიღებდა, ეს ბრძანება ხომ ზემოდან იქნებოდა გაცემული?***

– რომ არ თქვა, გამოვაქვეყნებთო და ისე გამოქვეყნებულიყო, ეს შეიძლება ყოფილიყო შემამსუბუქებელი ფაქტორები. მან წინასწარ დააანონსა და შემდეგ განახორციელა ეს ყველაფერი.

***– რის თქმა უნდოდათ ამ კადრების ჩვენებით?***

– საინტერესო კითხვაა. „ქართული ოცნება“ საკმაოდ წარმატებულია. მას არანაირი კონკურენტი არა ჰყავს, მხოლოდ ეს უდღეური ნაციონალური მოძრაობა, რომელიც სულს ღაფავს და აღარ იცის, რა ქნას. ისევ „ქართული ოცნება“ აცოცხლებს თვითონ, ანუ არანაირი პრობლემა „ქართულ ოცნებას“ არა აქვს, გაიმარჯვოს მომავალ არჩევნებში. 5%-ს არ დასწევს, პარტიები ვერ გადალახავენ. ერთადერთი, გადალახავს ნაციონალური მოძრაობა და კიდევ ხუთი წელი ამ ერთ პარტიასთან ერთად ბედნიერად მართავდა ქვეყანას. რაში სჭირდებოდა ეს ყველაფერი, რის დამტკიცება უნდოდა? როგორც ჩანს, მათი ეს ქცევები უკავშირდება ღრმა შიშებს. თითქოს ნირვანაში არიან და თუხთუხებენ საკუთარ ქონში, მაგრამ, აშკარად ჩანს, როგორ ეშინიათ რაღაცის.

***– და რისი ეშინიათ?***

– როგორც ჩანს, სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულებაში წითელი ხაზები გადალახეს. ეგონათ, რომ სააკაშვილს მოთოკავდნენ, გაანადგურებდნენ და სააკაშვილი სიცოცხლისუნარიანი და ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა. თუ სააკაშვილს ისევე ექცევი, როგორც სააკაშვილი ექცეოდა მათ, მაშინ რით სჯობიან სააკაშვილს?! ისინი დაემსგავსნენ სწორედ სააკაშვილს. საზოგადოებაში სააკაშვილის მიმართ გაჩნდა სიბრალული. აი, რამ შეაშინა ხელისუფლება. საზოგადოებაში გაჩნდა სააკაშვილის მიმართ სიმპათიის ნიშნები. ამიტომ გადაწყვიტეს, დაამცირონ საზოგადოების თვალში – ნუ გგონიათ, რომ ავადაა, კიდეც ჭამს და ყბასაც კარგად იქნევსო.

***– დასავლეთსაც ხომ არ აჩვენეს, რომ არ კვდება სააკაშვილი?***

– არა, მათ დასავლეთი არ ადარდებთ, არც სჭირდებათ. მათ სჭირდებათ ამომრჩეველი. მშვენივრად იცოდნენ, რომ დასავლეთი ამ კადრების ჩვენებას არ მოუწონებდა. „ქართულ ოცნებას“ დედამიწის ზურგზე არავინ არ აინტერესებს, გარდა ამომრჩევლისა, ეშინია, არ დაკარგოს მათი ხმები. სააკაშვილი იტყუება, ფარისეველია და აი კადრებიც. ამიტომ გამოუქვეყნეს.

***– თუკი ასეა და იტყუება, რატომ არ ჩართეს პროცესზე? რამდენი ხანია, პროცესზე დასწრებას ითხოვს.***

– იმიტომ, რომ სააკაშვილი იტყოდა რამეს თავის სასარგებლოდ, გამოჩნდებოდა, რომ არ არის ისეთი ენერგიული და არის საკმაოდ სუსტად. რაც მთავარია და ყურადღებამისაქცევი, არცერთი ექიმი არ იცავს ხელისუფლების პოზიციას. ერთადერთი ექიმი, რომელიც ჰყავთ „ქართულ ოცნებაში“, სერგეენკო, ისიც ძალიან ფრთხილია. ვინ ლაპარაკობს მის სიმულაციაზე? მხოლოდ პოლიტიკოსები! კობახიძეები, მდინარაძეები, იუსტიციის მინისტრი. ექიმები არ ლაპარაკობენ ამას. ყველა ექიმი ან ამბობს, რომ სააკაშვილი ძალიან ცუდად არის, ან ხმას არ იღებს. საწინააღმდეგოს არცერთი ექიმი არ ამბობს. მე, რიგითი მოქალაქე, რომელიც ექიმი არა ვარ, ვის უნდა ვენდო? კობახიძეს, რომელიც ამბობს, რომ სიმულანტია თუ ექიმების კრებულს, რომლებიც ამბობენ, რომ მძიმე მდგომარეობაშია. ვერ იპოვეს ვერცერთი ექიმი, რომელიც იტყოდა, რომ სააკაშვილი სიმულანტობს.

***– რას ელოდებით 22 დეკემბრის პროცესისგან, შეცვლიან გადაწყვეტილებას?***

– არა მგონია, რატომ უნდა შეცვალონ?!

***– აბა, ხელს მოაწერენ მის სიკვდილს?***

– მე მგონია, რომ ყველაფერს იზამენ, რომ არ მოკვდეს, თუმცა გამოშვებით არ გამოუშვებენ, გამოშვება იქნება მიშასა და ნაცმოძრაობის გამარჯვება. მიშა წავა უცხოეთში, იმკურნალებს რამდენიმე თვე და მერე ზუსტად არჩევნების წინ სათავეში ჩაუდგება ნაციონალურ მოძრაობას. ეს ნამდვილად არ უნდათ, ხოლო თუ სააკაშვილი ახლა მოკვდა, ცხადია, ეს არ იქნება ხელისუფლებისთვის კარგი, მაგრამ არჩევნებამდე ბევრი დროა და ფიქრობენ, რომ მანამდე ეს მუხტი ჩაცხრება. გამოვლენ ნაცმოძრაობის მომხრეები, ორი კვირა ივლიან ზემოთ-ქვემოთ პარლამენტიდან კანცელარიამდე და ივანიშვილის სახლამდე, მერე კი წავლენ სახლებში.

***– სააკაშვილის სიკვდილი მთელ ქვეყანას აზარალებს.***

– ისინი ფიქრობენ, რომ მათ არ დააქცევს, ქვეყანას კი ნამდვილად დააქცევს. ეჭვქვეშ დადგება კანდიდატის სტატუსი. თუმცა მოვისმინეთ კალაძის განცხადება, არ გვჭირდება სტატუსიო. მე მაშინვე ვთქვი, რომ ესენი 12 პუნქტს არ შეასრულებდნენ. ამას დააბრალებენ ოპოზიციას, სააკაშვილს, მათთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. სააკაშვილისნაირი პოლიტიკური ლიდერი ამ ქვეყანას არ ჰყოლია, ცუდი, კარგი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ივანიშვილი გამოჩნდა მერე, მაგრამ მას ფული ჰქონდა, პოლიტიკა არ აინტერესებდა, სხვაგან ნაშოვნი ფულით დადგა რეჟიმის წინააღმდეგ და დაამარცხა. თუმცა მას პოლიტიკა არ აინტერესებდა, ფულით მოვიდა და დღემდე ფულით არსებობს. სააკაშვილი ფულით არ მოსულა. მან თავისი თავი პოლიტიკოსად 1999 წელს შექმნა. მას შემდეგ ეს ვერავინ ვერ შეძლო. სააკაშვილის სიკვდილი შესაძლოა ძალიანაც გაუხარდეთ „ოცნებაში“.

***– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რა გვითხრეს ამით?***

– ჰააგის სასამართლომ თავიდანვე წაიყვანა სიტუაცია იქითკენ, რომ ეს არ იყო მსოფლიო მნიშვნელობის თემა. ჰააგის სასამართლო განიხილავს საკითხს მაშინ, როცა ათასობით ადამიანი იღუპება და საშინელი სისასტიკით ხოცავენ ადამიანებს. ამ ფონზე ხუთდღიანი აგვისტოს ომი არ იყო ძალიან მძაფრი. ამიტომ თავიდანვე წაიყვანეს პროცესი იქითკენ, რომ არც რუსეთი დაეზიანებინათ და არც საქართველოს სახელმწიფოები. ამიტომაც ძალიან სასაცილო გადაწყვეტილებაა, რომ სულ ოთხი კაცი იპოვეს და აქედან ერთი მკვდარია, უკვე რუსი გენერალი, ანუ რუსეთის მხარეს მკვდრის გარდა ვერავინ ვერ იპოვეს. ეს კონსტრუქცია უკვე უკრაინის ომამდე იყო შემუშავებული. ამასობაში ომი დაიწყო და ვიღას ეცალა საქართველოსთვის. ახლა წამოვა ტონობით საქმეები უკრაინიდან რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ ეს საქმე უცებ დახურეს. რა თქმა უნდა, ეს არ არის არავის გამარჯვება და ნურავინ ნუ მიიკერებს მას, რადგან ამაში განსაკუთრებული არაფერია. აქეთ ნაციონალები იბრალებენ გამარჯვებას, იქით – „ოცნება“, რუსეთი ამბობს, აბა, დამიმტკიცეთო და, მოკლედ, ასეთი ამბავია.

***– ანუ კრება დარჩა მხიარული?***

– ზუსტად! ბრწყინვალეა! კრება დარჩა მხიარული! თუ ჩვენ კონფლიქტის მოგვარება გვინდა, თუ ქართველებში კიდევ არის ეს განცდა, ამ გადაწყვეტილებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, არც დადებითი, არც უარყოფითი. ჩვენ უნდა ველაპარაკოთ ცხინვალსა და სოხუმს ყოველგვარი ჰააგებისა და სტრასბურგების გადაწყვეტილების გარეშე! ეს გადაწყვეტილება არაფერია, არც ცუდია, არც კარგი, არც გააფუჭა და არც გააკეთა რამე.

# ბექა ოდიშარია: „გინახავთ, მიშა სააკაშვილის დროს ადამიანებს გვამებზე რომ აბამდნენ?“



– ციხეში გინახავთ თქვენ მიშა სააკაშვილის დროს ადამიანებს გვამებზე რომ აბამდნენ? იცით? ვისთვის გაცვდა? ჰოლოკოსტიც ხომ არ გაცვდა? იცით, ჰოლოკოსტი რა არის? არ იცით! – ასე მიმართა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბექა ოდიშარიამ ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტს, რომელმაც ოდიშარიას მიუთითა, რომ სააკაშვილის სისტემის დროს პატიმრების წამება იყო გაცვეთილი არგუმენტი.

როგორც ოდიშარიამ განაცხადა, არასდროს გაცვდება მიხეილ სააკაშვილის სისტემის მიერ ნაწამები ადამიანებისთვის ეს არგუმენტი, რომ იმ დროს ციხეში პატიმრებს აწამებდნენ.

– სულხან მოლაშვილისთვის და გირგვლიანის ოჯახისთვის გაცვდა? რა არგუმენტი, გეკითხებით. დავინახე, რომ ქალბატონი დედა შებრძანდა ძალიან ბევრი პარკით, რადგან მიშამ განაცხადა, რომ აღარ სურს მიირთვას პენიტენციურ სისტემაში მომზადებული საკვები და შეატანინეს რამდენიმე პარკი. რატომ მეკამათებით იმაზე, რასაც ორივე თვალით ვხედავ. თუ რამე იყო სასაცილო ამ ყველაფერში, თქვენი დამოკიდებულება ჩანს ამით მხოლოდ. თქვენ გგონიათ, რომ ექიმები ხართ, ექსპერტები ხართ, ბრალმდებლები ხართ. დაახლოებით ათი კვირაა, ნაციონალური მოძრაობის გარე და შიდა სპიკერები, ენჯეობი და ეს ტელევიზიები, რომლებიც, ასევე პარტიაა, პირდაპირ ითხოვდნენ, რომ აჩვენეთ მიხეილ სააკაშვილი, გვაჩვენეთ საზოგადოებასო, მათ შორის, ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ მინისტრს, რომ რა, არ გაქვთ კადრები, გაასაჯაროვეთო? აი, რომ გასაჯაროვდა, აღარ მოეწონათ, იმიტომ, რომ არ შეიძლება მედპერსონალს თავში ესროლო ქილა. ის კი იყო შეჩვეული, თავისი პოლიტიკური პარტიის წევრებს ბოულინგს რომ ეთამაშებოდა სხვადასხვა ნივთით, მაგრამ ეს ადამიანები უვლიან მას და არა აქვთ არანაირი ვალდებულება, რომ ითმინონ ამდენი, – განაცხადა ოდიშარიამ, რომლის კომენტარსაც პრესსამსახური ავრცელებს.

# ნიკა მელია: „მაქსიმალური დარაზმვა, მაქსიმალური მობილიზაცია და გულახდილად საუბარი ერთმანეთთან“



ნიკა მელია რეგიონებში შეხვედრებს აგრძელებს. ნაციონალური მოძრაობის მოქმედი თავმჯდომარე ახლა ქუთაისში იმყოფება და პარტიის წევრებსა და მხარდამჭერებს ხვდება.

– ჩვენ ვართ ახლა ქუთაისში, შეხვედრა იმართება ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლებთან, მხარდამჭერებთან, წევრებთან... წუთიწუთზე დაიწყება ეს შეხვედრა და შეეხება ერთადერთ საკითხს – ეს არის საკითხი, რომელიც აწუხებს არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლებს და მხარდამჭერებს, არა მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ნაწილს, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია სახელმწიფოებრიობა და მისი მომავალი

დასანანია, რომ ხელისუფლებამ ივანიშვილის ჩართულობით დღეს ქართული სახელმწიფო დააყენა უდიდესი გამოწვევის გარეშე, როდესაც ქვეყნის მესამე პრეზიდენტი არის უმძიმეს მდგომარეობაში და ებრძვის სიკვდილს... მაქსიმალური დარაზმვა, მაქსიმალური მობილიზაცია და გულახდილად საუბარი ერთმანეთთან, ამის შემდეგ საზოგადოებისთვის შესაბამისი განცხადების გაკეთება, – ამბობს მელია.

# რუსულმა ძალებმა ხერსონი დაბომბეს

რუსეთის სამხედრო ძალებმა ხერსონი დაბომბეს. პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილე კირილ ტიმოშენკომ განაცხადა, რომ თავდასხმების შედეგად სამი ადამიანი დაიჭრა. როგორც მედია აღნიშნავს, ხერსონი და მიმდებარე რეგიონი რუსული ძალების უკანდახევის შემდეგ ხშირი თავდასხმის ქვეშ არიან.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სალომე ზურაბიშვილმა „ქართულ ოცნებას“ უთხრა, რომ მზად არის, სააკაშვილი შეიწყალოს“

ნათია ხურცილავა

## სოსო ცინცაძე: „ჯოჯოხეთურია ის პასუხისმგებლობა, რომლის წინაშეც დგას პირველ რიგში „ქართული ოცნება“, შემდეგ – ექიმები და პრეზიდენტი ზურაბიშვილი“

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, სალომე ზურაბიშვილმა დიპლომატებთან მიღებაზე განაცხადა, რომ მთავარი პრობლემა, რომელიც პოლარიზაციას ხელს უწყობს, სააკაშვილის საკითხია – დაველოდოთ 22 დეკემბრის გადაწყვეტილებას. პოლარიზებაზე ხაზგასმა, დიპლომატებთან ამ განცხადების გაკეთება შეიძლება ნიშნავს, რომ პრეზიდენტი შეწყალებისთვის ემზადება?***

– არაფერია გამორიცხული. მე ვიტყოდი – 50/50-ზე. სალომე ზურაბიშვილი, როგორც იტყვიან, ორცეცხლშუაა. საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, დიდი ალბათობით, საქართველოში არ დარჩება და საცხოვრებლად პარიზში დაბრუნდება. არა მგონია, სახლში ჩაიკეტოს და გარესამყაროსთან ურთიერთობა შეწყვიტოს. პროფესიონალი დიპლომატია, წერა უყვარს, ალბათ, მემუარებსაც დაწერს, პარიზში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხვედრებზე ივლის. ალბათ, კითხვებსაც დაუსვამენ. თუ ჰკითხავენ – შანსი გქონდათ და რატომ არ შეიწყალეთ ერთ-ერთი თქვენი წინამორბედი პრეზიდენტი? – რა უნდა უპასუხოს, „ოცნების“ მეშინოდაო? ან შურისძიებაში მიიღო მონაწილეობა?! ეს ხომ სრულიად მიუღებელია ცივილიზებული, ევროპული საზოგადოებისთვის.

სალომე ზურაბიშვილმა ყველაზე კარგად იცის, როგორი მიუღებელია შუასაუკუნეობრივი, აღმოსავლური შურისძიება დასავლური ცივილიზაციისთვის. ამიტომ ვერ გაუგებენ, ვერ აუხსნის, რატომ არ შეიწყალა. უკვე რუსული პრესაც კი წერს, რომ სააკაშვილი მოწამლეს.

***– პრეზიდენტის განცხადება შეიძლება სხვადასხვა, ძირითადად ორი მიმართულებით იყო გზავნილი?***

– დიახ, დიპლომატებსაც და „ქართულ ოცნებასაც“ უთხრა, რომ ის მზად არის, სააკაშვილი შეიწყალოს, თუ სასამართლო არ მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, როგორც თვითონ ამბობს, რომელიც თავად სასამართლოს იმიჯს გადაარჩენს.

არ ვიცი, რა ზეწოლა იქნება ზურაბიშვილზე, მაგრამ ფაქტი ერთია, ის არ ჰგავს სხვებს. მას სხვა ხასიათი აქვს. ამიტომ სალომეს დრეიფი არ გამიკვირდება. არ გამოვრიცხავ, შეიწყალოს კიდეც.

***– მიუხედავად იმისა, რა პოზიცია ექნება ივანიშვილს?***

– მიუხედავად ყველაფრისა. ალბათ ეტყვიან – ჩვენ აგირჩიეთ და ასეც არის, მაგრამ ზურაბიშვილს აქვს არგუმენტი – ეს არ ნიშნავს, მთელი ცხოვრება ემსახუროს. ვალის გადახდის დროც ოდესღაც იწურება. ბუზს ვერ აუფრენენ, სიტყვას ვერ დაუძრავენ, სალომე ზურაბიშვილს ისეთი სათადარიგო აეროდრომი აქვს.

ბოლოს და ბოლოს, საუბარია პრეზიდენტზე, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობით იყო არჩეული.



პრეზიდენტი თავისი ზიგზაგებით, თავისი ცუდითა და კარგით, მაგრამ პრეზიდენტი, რომლის სახელსაც ბევრი რამ უკავშირდება. ის თავისი ცუდითაც და კარგითაც უკვე ისტორიაშია შესული.

2017 წელს პერუში მოქმედმა პრეზიდენტმა წინამორბედი პრეზიდენტი შეიწყალა, რომელსაც 25 წელი ჰქონდა მისჯილი პოლიტიკური მკვლელობებისთვის. გასაგებია, რომ სააკაშვილს ბევრი მომდურავი ჰყავს. არავინ ამბობს, რომ ანგელოზია და ამიტომ არ უნდა იჯდეს ციხეში. ამბობენ, ცუდად არის და მკურნალობა სჭირდებაო. დროებით, გამოჯანმრთელებამდე სასჯელის გადავადებაზეა საუბარი.

პუტინმაც კი ნავალნი გერმანიაში სამკურნალოდ გაუშვა. გასაგებია, რატომაც გაუშვა, მერე არგუმენტი რომ ჰქონოდა – თუ მე მოვწამლე, სამკურნალოდ როგორ გაუშვებდიო, მაგრამ ხომ გაუშვა. პოლიტიკაში გონივრული და საჭირო ნაბიჯების გარეშე არაფერი გამოვა. დროა, „ქართულმა ოცნებამ“ გააცნობიეროს, რომ გონივრული ნაბიჯების დროა.

***– სააკაშვილი, როგორც პოლიტიკური საფრთხე, განეიტრალებულია?***

– რა თქმა უნდა! ამ ხელისუფლებას სააკაშვილი ამ მდგომარეობით ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნის. ღმერთმა დაიფაროს და ციხეში თუ საავადმყოფოს პალატაში გარდაცვლილი სააკაშვილი გაცილებით საფრთხის შემცველია. თუ საზღვარგარეთ გააგზავნიან და გამოჯანმრთელებული არ დაბრუნდება ციხეში, მერე წითელი ცირკულარით ძებნის გამოცხადებაც შეეძლებათ, თან ის სიმპათია, რომელიც ავადმყოფი სააკაშვილის მიმართ გაჩნდა, იმ წუთში გაქრება, თუ არ დაბრუნდება. ბევრი შრე აქვს ამ საქმეს.

მარგარეტ ტეტჩერს ინგლისელებმა არ აპატიეს ორი ტერორისტის არშეწყალება, რადგან მათ ციხეში თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე. ნებისმიერი საზოგადოება ასეთ დროს ემპათიური ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ტეტჩერი თავით ფეხებამდე ინგლისელი იყო, მაინც ხელები ექიმებს შეახოცა, ექიმებმა არ მომცეს სრული ინფორმაციაო, ასე იმართლა თავი. ამიტომ ჯოჯოხეთურია ის პასუხისმგებლობა, რომლის წინაშეც დგას პირველ რიგში „ქართული ოცნება“, შემდეგ – ექიმები და პრეზიდენტი ზურაბიშვილი.

# სალომე ზურაბიშვილი: „რუსეთიდან მასობრივი მიგრაცია აჩვენებს ჩვენს ტოლერანტობას, მაგრამ სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს სულელური“

– არის კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც რუსეთიდან მასობრივ მიგრაციას ეხება. გამოწვევა, რომელიც გარკვეულწილად შესაძლებლობაა, რადგან ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რას ნიშნავს ქართული ტოლერანტობა, სტუმართმოყვარეობა, მაგრამ სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს სულელური, – ამის შესახებ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ორბელიანების სასახლეში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის გამართულ წინასაახალწლო მიღებაზე განაცხადა.



სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ დასაშვებია, საზღვარი გახსნილი იყოს განსაკუთრებით რუსეთის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც წარმოშობით ქართველები არიან, მაგრამ, ამავდროულად, უნდა იყოს სწორი კანონმდებლობა, შესაბამისი რეგულაციები იმისათვის, რომ მომავალში „არასასურველი განზრახვები თავიდან იქნას აცილებული“.

დიპლომატების მიღების საღამოზე სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია დიდი გამოწვევაა. გარდა ამისა, პრეზიდენტის თქმით, რუსეთი მუდმივად ცდილობს, საკუთარი ნება-სურვილი მეზობლებს თავს მოახვიოს.

– შესაძლოა, ზოგიერთი ჯგუფი ფიქრობდეს, რომ კრიტიკა მიმართული იყოს ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა და არა ოკუპანტის მიმართ, მაგრამ ოკუპაცია რჩება მთავარ გამოწვევად. ეს, ასეა! რუსეთის ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია უდიდესი გამოწვევაა. ჩვენი მოქალაქეები ოკუპაციის ხაზის ორივე მხარეს ცხოვრობენ. ესენი არიან მოქალაქეები, ვინც აფხაზეთში ცხოვრობენ. მათ ამ გამოწვევებთან ერთად უწევთ ცხოვრება, მათსავე ენასთან და იდენტობასთან დაკავშირებით. ისინი არიან ამ მობილიზაციის მსხვერპლნი, ასევე უწევთ მუქარის ატანა. მათ აწვდიან ინფორმაციას, რომ საქართველომ შეიძლება ეს სიტუაცია სათავისოდ გამოიყენოს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და ეს არ ხდება ტერიტორიების უკან მიტაცებით. ეს სხვა ადამიანების მიდგომაა.

ასევე არის კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც რუსეთიდან მასობრივ მიგრაციას ეხება. გამოწვევა, რომელიც გარკვეულწილად შესაძლებლობაა, რადგან ეს კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რას ნიშნავს ქართული ტოლერანტობა, ქართული სტუმართმოყვარეობა, მაგრამ სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს სულელური. ჩვენ გვაქვს ჩვენი მოვალეობა საკუთარი მოსახლეობის მიმართ, რომ სრულიად გავაკონტროლოთ ის, რაც ხდება. კი ბატონო, გვქონდეს საზღვრები გახსნილი, განსაკუთრებით რუსეთის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც წარმოშობით ქართველები არიან, მაგრამ, ამავდროულად, უნდა გავიაზროთ, რომ გვქონდეს სწორი კანონმდებლობა, შესაბამისი რეგულაციები იმისათვის, რომ მომავალში არასასურველი განზრახვები თავიდან ავირიდოთ, – აცხადებს ზურაბიშვილი.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილის თქმით, რუსეთის მხრიდან დიდი გამოწვევები არსებობს არა მხოლოდ საქართველოსთვის არამედ, მთელი ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, როდესაც რუსეთთან მოლაპარაკებების დრო მოვა „ცხადი უნდა იყოს, რომ ოკუპაცია აღარ არის მისაღები ევროპის კონტინენტზე“.

– რა თქმა უნდა, მოვა მოლაპარაკებების დრო და ეს გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელი ხალხის ხელში. როდესაც ეს დრო მოვა, თუ გვსურს, რომ თავი ავარიდოთ 1992, 2008, 2014, 2022 წლების სცენარების განმეორებას და ბევრი სხვა აგრესიის განმეორებას, რომელიც ჩვენი მეზობლების მიმართ ხდებოდა რუსეთის მხრიდან – ცხადი უნდა იყოს, რომ ოკუპაცია აღარ არის მისაღები ევროპის კონტინენტზე. ვისაც მართლა სურს რეალური მშვიდობა და მოლაპარაკებები, პირველ რიგში, უნდა აღიაროს ეს და შემდგომ ვისაუბროთ ამ საკითხებზე, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

# ლევან ხაბეიშვილი: „ვიქნებით ყველგან, სადაც რუსი ოლიგარქი და მისი კრიმინალური „ბანდა“ იქნება“



– ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარში არის „გაჩხერილი“ ბიძინა ივანიშვილი – უნდა გავაპანღუროთ რუსი ოლიგარქი, რომ ცივილიზებული სამყაროს წევრები გავხდეთ, მათ შორის გადავარჩინოთ პრეზიდენტ სააკაშვილის სიცოცხლე, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლევან ხაბეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, მსოფლიოში არ არსებობს მეორე ქვეყანა, რომელსაც უხარია ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ამ მდგომარეობაში ყოფნა, გარდა პუტინის რუსეთისა.

– ჰააგის სასამართლომ დაადასტურა ის, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. ცხადია, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, გარდა ბიძინა ივანიშვილისა და პუტინისა. საზოგადოებამ ნახა, რომ 2020 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი ჰააგაში ჩავიდა, ჩაიყვანა იურისტების ჯგუფი და 2020 წელსაც იცავდა რიგითებს, ოფიცრებს, ქართულ არმიას, ბოლომდე ამტკიცებდა, რომ თუ ვინმე არის ტერორისტი და ოკუპანტი, ეს არის პუტინი, რაც ახლა უკვე ჰააგამაც დაადასტურა.

მინდა მივულოცო პრეზიდენტ სააკაშვილს. ივანიშვილმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ის ისტორიას ვერ გადაწერს. პუტინთან მებრძოლი მთავარსარდლის მკვლელობის უფლებას ქართველი ხალხი არ მისცემს. მე ვიქნები ყველგან, სადაც რუსი ოლიგარქის წინააღმდეგ იქნება აქცია, იქნება ბრძოლა. ქართველმა ხალხმა მარტივი ჭეშმარიტება უნდა გაიგოს: ევროკავშირსა და საქართველოს შორის კარში არის „გაჩხერილი“ ბიძინა ივანიშვილი. ამ კარიდან უნდა გავაპანღუროთ რუსი ოლიგარქი იმისთვის, რომ ცივილიზებული სამყაროს წევრები გავხდეთ, მათ შორის გადავარჩინოთ პრეზიდენტ სააკაშვილის სიცოცხლე. მსოფლიოში არ არსებობს მეორე ქვეყანა, ვისაც უხარია სააკაშვილის ამ მდგომარეობაში ყოფნა, გარდა პუტინის რუსეთისა, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, 22 დეკემბრის შემდეგ კიდევ უფრო მძიმე იქნება რეალობა, თუ ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვლავ პატიმრობაში დარჩება.

– ჩვენ ვიქნებით ყველგან, სადაც რუსი ოლიგარქი და მისი კრიმინალური ბანდა იქნება, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

მან აღნიშნა, რომ ხალხის მობილიზებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

– ვპირდები რუს ოლიგარქს და მის კრიმინალურ რეჟიმს, ყოველდღიურ რეჟიმში ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გადაიზარდოს სახალხო მღელვარებაში და საბოლოოდ, ქართველმა ხალხმა გაიმარჯვოს რუს ოლიგარქზე ევროპული მომავლისთვის. პრეზიდენტის მკვლელებს ცივილიზებულ სამყაროში არ ელოდებიან, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

# მეუფე გრიგოლი მიხეილ სააკაშვილის მონახულებას გეგმავს



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის თქმით, მომდევნო კვირაში ის მიხეილ სააკაშვილის მონახულებას გეგმავს.

როგორც მეუფე გრიგოლი ამბობს, მან მიხეილ სააკაშვილის კადრები ნახა, თუმცა ის მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სრულ ინფორმაციას არ იძლევა.

– საერთოდ ისეთი დიამეტრულად განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება ხოლმე, ადამიანები დაბნეულებიც კი არიან. ახლა ახალი კვირა რომ იქნება ვგეგმავ პატიმრების მონახულებას, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის და ყოველგვარი მონტაჟის გარეშე ვნახავ. რა თქმა უნდა, კადრები ნანახი მაქვს მე, მაგრამ სრული ინფორმაცია რაც ვრცელდება ნამდვილად არ ვიცი, კადრები ხშირად, ისეთი ჯადოქრობის ქვეშ გადიან, რომ ათას რამეს გაჩვენებენ. მე, ვისურვებდი, რომ ნებისმიერ პატიმარს, მათ შორის მიხეილ სააკაშვილს ჰქონდეს საშუალება, რომ სრული მკურნალობა მიიღოს, იმისთვის, რომ დაცული იყოს, მისი, როგორც ადამიანის, პიროვნებისა და პატიმრის სიცოცხლე, – თქვა მეუფე გრიგოლმა. ცნობისთვის, 14 დეკემბერს პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა მიხეილ სააკაშვილის დამონტაჟებული კადრები, რომელიც 9 აგვისტოდან 12 დეკემბრის ჩათვლით სხვადასხვა პერიოდს მოიცავს. უწყებამ კადრების გასაჯაროება „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით“ ახსნა. მიზეზები იუსტიციის მინისტრმა „იმედის“ ეთერშიც განმარტა და თქვა, რომ მიზანი საზოგადოების „სწორად ინფორმირება“ იყო.

# ავარია კახეთში – დაიღუპა 25 წლის მამაკაცი

მსხვერპლით დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევა ყვარელში.

თელავი-ყვარლის დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე მსუბუქი ავტომანქანა ბეტონის ჯებირს შეეჯახა.

25 წლამდე ასაკის მამაკაცმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავიდა. ძლიერი შეჯახების შედეგად მიღებული ტრავმებით მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო.

# რატომ ვერ ჩაითვლება რუსეთი ქრისტიანულ ქვეყნად?

## „პუტინისა და მისი გარემოცვის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მათთვის თვითმკვლელობას ნიშნავს“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის აგრესიული სახე და მისი ცხინვალელი მარიონეტების დანაშაულები ჰააგის სასამართლომ საქართველოში 2008 წლის რუსეთის შემოჭრის მაგალითებზეც დაადასტურა. ეს სერიოზული სიახლეც ვერ აოკებს ანტიდასავლურ და პუტინისტურ ჯგუფებს, რომლებიც აგრძელებენ საქართველოში დასავლეთის დისკრედიტაციასა და უკრაინაში შეჭრილი რუსეთის რეკლამირებას.

აგრესორის მხრიდან მასირებული შეტევების მიუხედავად, რუსეთი არ გამოიყურება გამარჯვებულად. დიდი ალბათობით, კრემლი ბირთვულ იარაღს ვერ გამოიყენებს. პოლიტიკური მიმომხილველი კონსტანტინ ეგერტი, რომელიც პუტინის ოპონენტია, ბელარუსულ თავისუფალ მედიასთან ომის მიმდინარეობასა და რუსეთის საზოგადოებას აფასებს.

**კონსტანტინ ეგერტი:**

– მგონია, რომ ეს ომი ძალიან დიდხანს გაგრძელდება. პუტინის სტრატეგია ასე გამოიყურება: უკრაინული ინფრასტრუქტურის მაქსიმალურად განადგურება, უკრაინის ცენტრისა და აღმოსავლეთის ნაწილის გადაქცევა აგურისა და მინის ნამსხვრევების გროვად. მას იმედი აქვს, რომ უკრაინელები და უკრაინის არმია გატყდებიან. პუტინს კიდევ იმაზე აქვს გათვლა, რომ მთელი რიგი ევროპული ქვეყნების ელექტორატი დაიღლება უკრაინისათვის ფინანსური დახმარების გაწევით.

ვეთანხმები იმ დასავლელ ექსპერტებს, რომლებიც ამბობენ, რომ პუტინს ამჟამად არ შეუძლია მსხვილი სახმელეთო ოპერაციების განხორციელება და სწორედ ამიტომ გაკეთდა აქცენტი ფაქტობრივ ომზე მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და უკრაინის სახელმწიფოს განადგურებაზე. ამისათვის პუტინს რესურსები ჯერჯერობით ჰყოფნის.

***– რამდენად დიდია პუტინის მიმართ ნდობის კრედიტი რუსეთის საზოგადოებაში? რუსები გააგრძელებენ სვლას სასაკლაოზე „რუსული სამყაროსთვის“?***

– „ნდობის კრედიტზე“ ლაპარაკი არ შეიძლება. პუტინი დემოკრატიაში არ ცხოვრობს. ის არავის აბარებს ანგარიშს. პრობლემა ისაა, რომ ასეთი სიტუაცია ხელსაყრელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ამ ადამიანების პოზიცია მარტივია: ჩვენ თავს



მოგაჩვენებთ, რომ მხარს ვუჭერთ სახელმწიფოს. მაშინ ხელს არავინ გვახლებს.

რუსეთის საზოგადოება ჯერ კიდევ ომამდე შევიდა კომფორტის ზონაში. ამ ადამიანებისთვის მთავარია, რომ არაფერში მონაწილეობენ. მასობრივი სოლიდარობა წვევამდელების მიმართ მოსალოდნელი არ არის. სამოქალაქო პასუხისმგებლობა რუსეთში მცირე რაოდენობის ხვედრია.

თუ მობილიზაცია მასობრივი გახდება და პუტინი ომში მილიონებს გაიწვევს, მაშინ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. პოლიტიკურ პაციფისტურ პროტესტს ახლო მომავალში არ უნდა ველოდოთ.

***– რეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა ბოლშევიკების მიერ ჩადენილი არაადამიანური დანაშაულები ულმერთობით ახსნა. ახლანდელი რუსეთი რატომ სჩადის მხეცობას?***

– რუსეთი დარჩა ქვეყნად მორალური ორიენტირების გარეშე, რომელსაც ახასიათებს ზერელე ქრისტიანული რწმენა. რუსეთისთვის ქრისტიანობა უფრო დიალოგებია, ვიდრე ცოცხალი რწმენა. უკრაინა, გამოკითხვების თანახმად, ბევრად უფრო რელიგიურ და ქრისტიანულ საზოგადოებას წარმოადგენს. სინამდვილეში, ულმერთობა (მიხალკოვს ვეთანხმები, რომ ულმერთობა იყო) როგორც იყო, ისე დარჩა. იმით, რომ ადამიანი გულზე ჯვარს ჩამოიკიდებს და აღდგომას კვერცხებს აკურთხებს, ის ქრისტიანი ვერ გახდება.

***– პუტინს თუ სჯერა რამის?***

– მისი მოქმედებები მაფიქრებინებს, რომ ქრისტიანობაზე არანაირი რეალური წარმოდგენა არა აქვს. ამ კაცისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავს, უკრაინელებს მტრებად მიიჩნევს და არ ეცოდება. პუტინს საკუთარი ჯარისკაცებიც არ ებრალება. ის არ შეესაბამება შუა საუკუნეების ქრისტიანული სახელმწიფოს მმართველის სახესაც კი, შუა საუკუნეები კი ძალიან სასტიკი იყო.

***– შეუძლია თუ არა პუტინს, ხელი დააჭიროს ბირთვულ ღილაკს?***

– ასეთი ალბათობა არ უნდა გამოირიცხოს. თუ პუტინს უნდა თვითმკვლელობის ჩადენა რუსეთთან ერთად, ის ამას შეძლებს. ეს შეკითხვა უფრო ფსიქოლოგებს ეკუთვნით, ვიდრე ანალიტიკოსებს.

დარწმუნებული ვარ, პუტინმა დასავლელი მოკავშირეებისაგან არაერთი გაფრთხილება მიიღო. მას აუხსნეს, რომ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული ნებისმიერი აქცია იქნება ბევრი წითელი ხაზის გადაკვეთა. მგონია, რომ პუტინს გაცნობიერებული აქვს ნებისმიერი ბირთვული შანტაჟის შედეგები. პუტინი შეგნებულად არასდროს მიდიოდა კონფლიქტზე მათ წინააღმდეგ, ვინც მასზე ძლიერია. რომ სცოდნოდა, რა მოჰყვებოდა უკრაინაზე თავდასხმას, ალბათ, 24 თებერვალს ფართომასშტაბიან შეჭრას არ დაიწყებდა. აშკარაა, რომ ნატო არის უძლიერესი მოწინააღმდეგე, რომელსაც შეიძლება შეეჯახოს რუსეთი. არსად წამიკითხავს ჰიპოთეტური სცენარიც კი, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი ნატოს ომს მოუგებს, თუნდაც ეს ომი არაბირთვული იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ პუტინს ეს ესმის. ბირთვულ იარაღზე გადაწყვეტილების მიღება არ არის ერთი კაცის სურვილი. ეს არის სხვადასხვა საფეხურისგან შემდგარი პროტოკოლი. წარმოვიდგინოთ პირობითად, რომ პატრუშევმა, შოიგუმ, ნარიშკინმა, გერასიმოვმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თვითმკვლელობაზე. ისინი თუ გადარჩებიან – ბუნკერში, ბირთვულ ფერფლად ქცეულ ქვეყანაში. ეს რეჟიმს შეარყევს. არ მჯერა, რომ პუტინი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს.

***– პუტინი თუ კუთხეში მიმწყვდეული აღმოჩნდება და ამას გადაწყვეტს, როგორ მოიქცევა გენერალიტეტი? შეუძლიათ გენერლებს, არ შეასრულონ პუტინის ბრძანება?***

– არავინ იცის, როგორ მოიქცევა ადამიანი ასეთ ვითარებაში. დღემდე პუტინის გენერლები მორჩილები, არც ისე დამოუკიდებლები და არც ისე ინტელექტუალი ადამიანები იყვნენ. თუმცა, ამგვარ ცხოვრებისეულ ფაქტორს ნებისმიერის ტრანსფორმირება შეუძლია. ამიტომ არ გამოვრიცხავ პუტინის მიმართ წინააღმდეგობას.

# კაცმა სასაფლაოზე ყელი გამოიჭრა

ბათუმის სასაფლაოზე კაცმა ყელი გამოიჭრა. ინფორმაციას ტვ25 ავრცელებს.

მომხდარის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. ახალგაზრდა ამ დროისათვის სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო.

# რუსთავში სასწრაფო, რომელიც პაციენტთან მიდიოდა, სამგზავრო მიკროავტობუსს შეეჯახა

რუსთავში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთმანეთს პაციენტთან მიმავალი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი და სამგზავრო მიკროავტობუსი შეეჯახა.




მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

# მარნეულში კაცი საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს

მარნეულში საკუთარ მანქანაში კაცი გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა 17 დეკემბერს მოხდა.



არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი 60 წლის კაცია. მანქანა ერთ-ერთი მაღაზიის წინ იდგა.

ადგილზე სამართალდამცველები იყვნენ მობილიზებული.

# ლილოს დასახლებაში ავტობუსი განათების ბოძს შეეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა ლილოს დასახლებაში – მუნიციპალური ავტობუსი განათების ბოძს შეეჯახა.

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მგზავრებმა მცირე დაზიანებები მიიღეს. თვითმხილველების განცხადებით, მძღოლს, სავარაუდოდ, ჩაეძინა და მოსახვევში, ე.წ. კუნძულზე ავარდა.

# რუსმა ტურისტმა ისტორიული ციხე დააზიანა – შსს-მ გამოძიება დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაილურში რუსეთის მოქალაქეების მიერ ნიახურას ციხის დაზიანების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.



უწყების განმარტებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 259 2 პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც კულტურის ძეგლის დაზიანებას გულისხმობს.

ვიდეო, რომელზეც რუსეთის მოქალაქეები ჩაილურში ნიახურის ციხის შესასვლელ კარს ფეხს ურტყამენ და აზიანებენ, სოციალურ ქსელში გავრცელდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში „პრაიმტაიმს“ განუმარტეს, რომ გამოძიების დაწყების თხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივმა თვითმმართველობამაც მიმართა.

ნიახურის ციხე XVI-XVIII საუკუნეების ძეგლია. კარი, რომელსაც ახალგაზრდა მამაკაცი ურტყამდა, ისტორიულ ძეგლზე ეზოს მხრიდან არის გაჭრილი.

# პროკურატურამ სოსო გოგაშვილის დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი გაჩხრიკა

პროკურატურის გამომძიებლებმა სოსო გოგაშვილის დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი გაჩხრიკეს. ალექსანდრე სამხარაძის სახლთან გამომძიებლები იმ დროს გამოჩნდნენ, როცა ის სასამართლო პროცესზე მიდიოდა. პროკურატურის გამომძიებლებმა სამხარაძეს ჩხრეკის ოქმი გადასცეს და მობილური ტელეფონი ჩამოართვეს.

მომხდართან დაკავშირებით საგამოძიებო უწყების წარმომადგენლები მედიასთან ხმამაღლა არ საუბრობენ.



თავად სამხარაძე კი ამბობს, რომ მის ტელეფონში გამომძიებლები ფოტოსურათების გარდა ვერანაირ ინფორმაციას ვერ ნახავენ. ასევე, არ გამორიცხავს, რომ მომხდარი ლევან მურუსიძის საჩივარს უკავშირდებოდეს.

– დღეს ჰქონდა სასამართლო პროცესი 11-ის ნახევარზე. ჩამოვედი, ვჯდებოდი მანქანაში, დაახლოებით 11-ის წუთები იყო, მაგ დროს მოვიდა პროკურატურის თანამშრომელი, გამცნო, სახელი და გვარი აღარ მახსოვს მისი. გადმოვედი მანქანიდან და ამოიღეს ჩემი პირადი მობილური ტელეფონი, დალუქეს და წაიღეს, გამჩხრიკეს. რაღაც მოსამართლის განჩინებით, რაღაც... ალბათ მურუსიძის საქმეს უკავშირდება, სავარაუდოდ... – ამბობს სამხარაძე. შეგახსენებთ, რომ გავრცელდა აუდიოჩანაწერი, სადაც ალექსანდრე სამხარაძე ლევან მურუსიძეს ესაუბრება, რის შემდეგაც მურუსიძემ საჩივარი პროკურატურაში შეიტანა.

# ახალქალაქში ქალს სასაჩუქრე ყუთით ბომბი გაუგზავნეს

საქართველოს პროკურატურამ გენდერის ნიშნით, დამამძიმებელ გარემოებაში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის, სექსუალური ხასიათის კავშირის იძულებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.




დანაშაული ახალქალაქში მოხდა. როგორც პროკურატურა წერს, ბრალდებული დაზარალებულს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა, რამდენჯერმე უარის მიღების შემდეგ კი ბრალდებულმა მსხვერპლს სახლის კართან ალკოჰოლთან და ტკბილეულთან ერთად პოლიეთილენის პარკში მოთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუტოვა.

– საქართველოს პროკურატურამ, ახალქალაქში გენდერის ნიშნით, დამამძიმებელ გარემოებებში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის, სექსუალური ხასიათის კავშირის იძულებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული სახელგამტეხი ინფორმაციის გავრცელების მუქარით დაზარალებულთან სქესობრივი კავშირის დამყარებას ცდილობდა.

დაზარალებულისგან არაერთი უარის მიღების შემდეგ, 13 დეკემბერს, ბრალდებულმა გენდერული დისკრიმინაციის მოტივითა და მოკვლის განზრახვით დაზარალებულს სადარბაზოში, სახლის კართან ალკოჰოლურ სასმელთან და ტკბილეულთან ერთად პოლიეთილენის პარკში მოთავსებული საბრძოლო მდგომარეობამდე მიყვანილი ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუტოვა. ასაფეთქებელი მოწყობილობა, დაზარალებულის მიერ პოლიეთილენის პარკის გახსნის დროს მოვიდა მოქმედებაში, რის შედეგადაც დაზიანდა მისი საცხოვრებელი ბინა.

საქართველოს პროკურატურამ დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (სექსუალური ხასიათის შეღწევის იძულება) და 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით (ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება) წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – ვკითხულობთ საქართველოს პროკურატურის განცხადებაში.

# გამოვლენილია დიდი ოდენობით არადეკლარირებული თანხა

საბაჟო-გამშვებ პუნქტებში „ყაზბეგი“, „ბათუმის აეროპორტი“ და „ქუთაისის აეროპორტი“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური, ასევე, თანმხლები ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, ჯამში 134.000 აშშ დოლარი, 45.000 ევრო და 111.328.000 რუსული რუბლი გამოავლინეს.

არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 48.203.439,06 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევი მოქალაქეები სანქციის სახით (თანხის 10%-ის ოდენობა) ჯამში 4.820.343, 906 ლარით დაჯარიმდნენ.

## ქართველები პოლონეთში ქურდობისთვის დააკავეს

პოლონეთში ბინების ქურდობის გამო საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. პოლიციამ 27 და 33 წლის მამაკაცები სპეცოპერაციისას აიყვანა.




გამოძიებით დადგინდა, რომ მათ მინიმუმ სამი ბინა გაქურდეს და წაიღეს როგორც თანხა, ისე სხვა ძვირფასი ნივთები. საქართველოს მოქალაქეებს უკვე შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა. მათ ჩადენილი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით ემუქრებათ.

## ვინ არის კაცი, რომელიც ხონში გუშინ მოკლეს

ხონში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ახალი დეტალები ხდება ცნობილი – მოკლული ახალგაზრდა 33 წლის გიორგი ჩალაძეა.

მოკლული ახალგაზრდა კაცის დედის ინფორმაციით, 17 დეკემბერს ღამით სახლში ხმაური შემოესმათ, რის გამოც ჩალაძე მეზობლების გაშველების მიზნით გარეთ გავიდა.

33 წლის კაცს რამდენიმე ჭრილობა ცივი იარაღით მიაყენეს.

– ხელებში ჩამაკვდა, დახმარებას მთხოვდა, თუმცა ვაი, რომ ვერ ვუშველე, საშინელება მოხდა ჩვენი ოჯახის თავს, მამაცი შვილი მყავდა ავღანეთის და ავღანეთის ომებში იბრძოდა და ვერ იტანდა ვინმეს რომ ჩაგრავდნენ, – უთხრა „მთავარს“ მოკლულის დედამ ნატო ჩალაძემ. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. როგორც „მთავარ არხს“ შსს-ში განუცხადეს, ბრალდებული უკვე იდენტიფიცირებულია.

## რუსთავში დედამ და ბებიამ 15 წლამდე მოზარდს სასტიკად სცემეს

რუსთავში დედამ და ბებიამ ბავშვს სცემეს. ინფორმაციას ამის შესახებ „ინფო რუსთავი“ ავრცელებს. შემთხვევა ძველ რუსთავში მოხდა.




15 წლამდე მოზარდსა და მის ოჯახის წევრებს, დედასა და ბებიას შორის სიტყვიერი კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

როგორც ადგილობრივი მედია წერს, დედამ და ბებიამ მოზარდს სცემეს. ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა პოლიციისთვის.

არსებული ინფორმაციით, მომხდარზე მხილებულია 40 წლამდე დედა და 60 წლამდე ბებია.

### კალეიდოსკოპი

## პოლიციელი სამუშაო დროს პორნოს გადაღებით იყო დაკავებული



ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ ფინიქსში პოლიციელის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო, რისი მიზეზიც გახდა ის ფაქტი, რომ ის ეჭვმიტანილია სამუშაო საათებში პორნორგოლების გადაღებაში. 30 წლის ოჰაიოს შტატის მკვიდრმა კრისტიან გოგასმა საკუთარი მონაწილეობით პორნორგოლების გადაღება 2019 წელს დაიწყო. ეს იყო ერთი წლით ადრე, ვიდრე ის ქალაქ ფინიქსის პოლიციაში დაიწყებდა სამსახურს. მამაკაცი, რომელიც სოციალურ ქსელებში რიკო ბლეიზის სახელით იყო დარეგისტრირებული, პორნოვიდეოებს ერთ-ერთ სოციალურ ქსელში აქვეყნებდა. შემდეგ მისი გვერდი დახურულ რეჟიმზე გადავიდა, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი ნახვა მომხმარებლებს მხოლოდ მისი მფლობელის საგანგებო ნებართვით შეუძლიათ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ გოგასი მორიგი პორნორგოლების გადასაღებად სამუშაო დროს ლას-ვეგასში გაემგზავრა. ფინიქსის პოლიციაში დაადასტურეს, რომ მათ თანამშრომელთან მიმართებით შიდა გამოძიება დაიწყო, თუმცა დეტალების გამხელაზე თავი შეიკავეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ირაკლი ღარიბაშვილი: „გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად გვაქცევს“

– საქართველოს გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად გვაქცევს, ისევე, როგორც ზღვაზე წვდომის არმქონე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის 8 ქვეყნის კარიბჭედ, რაც უმნიშვნელოვანესი კვანძია ევროკავშირის გლობალური დაკავშირებადობის რუკაზე სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციისა და ევროპისადმი ენერგორესურსების მიწოდების კონტექსტში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუმინეთში განაცხადა, სადაც პლენარულ სესიაში – „სტრატეგიული პარტნიორობა მწვანე ენერგეტიკის განვითარებისა და გაზიარების საკითხებში“ მონაწილეობს.

– მიხარია, რომ დღევანდელი მნიშვნელოვანი შეკრების გამორჩეულ საზოგადოებას მივმართავ. მადლობა მინდა გადავუხადო რუმინეთის მხარეს ღონისძიების მასპინძლობისა და ორგანიზებისთვის, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის არის. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს მისი მხარდაჭერისთვის ამ პროექტის მიმართ.

არსებულმა გეოპოლიტიკურმა გამოწვევებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა უფრო მეტად გამოკვეთა დივერსიფიკაციისა და მედეგობის საჭიროება ენერგოუსაფრთხოების სფეროში გადაუდებელი გამოწვევების მოსაგვარებლად. საქართველოს გეოსტრატეგიული ადგილმდებარეობა ბუნებრივად გვაქცევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად, ისევე, როგორც ზღვაზე წვდომის არმქონე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის 8 ქვეყნის კარიბჭედ; რაც უმნიშვნელოვანესი კვანძია ევროკავშირის გლობალური დაკავშირებადობის რუკაზე, სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციისა და ევროპისადმი ენერგორესურსების მიწოდების კონტექსტში.

ამიტომ უმთავრეს პრიორიტეტად ვაქციეთ დაკავშირებადობა და განსაკუთრებული ხედვა შევიმუშავეთ კავკასიის რეგიონისა და ევროპის დასაკავშირებლად. ენერგიის, ციფრული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და მოდერნიზაციის მიმართულებით აქტიურად ვახორციელებთ ინვესტიციებს. ეს სექტორები შესაბამისობაში მოგვყავს ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან, ისევე როგორც იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ასოცირების შეთანხმებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცით, საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებითა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ფარგლებში ვიკისრეთ.

ევროპის ძირითადი სატრანსპორტო ქსელის გაფართოება და აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს გვთავაზობს ისეთი სტრატეგიული პროექტების მხარდაჭერისთვის, რომლებიც ეროვნული და ფართო რეგიონულ მნიშვნელობას ფლობს.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ სანდო სატრანზიტო პარტნიორის რანგში, საქართველო მნიშვნელოვანი მდგენელია ჰიდრორესურსების მიწოდების ჯაჭვში კასპიის ზღვის აუზიდან დასავლეთისკენ ენერგოტრანზიტის მთავარ რეგიონულ მარშრუტში.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ამ პროექტის განხორციელებას სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება ახალ განზომილებაში გადაჰყავს.

– რამდენიმე წლის წინ საქართველოს ინიციატივით მუშაობა დაიწყო პროექტზე, რომელიც კავკასიის რეგიონისა და ევროპის ენერგეტიკულ დაკავშირებას გულისხმობს მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადამცემი ხაზის საშუალებით. დღეს მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ვადასტურებთ მზაობას მწვანე ენერგიის მიწოდების კონტექსტში მჭიდრო თანამშრომლობაზე.

კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია განახლებადი წყაროებიდან ჭარბი ენერგიის წარმოების მიმართულებით, რაც მეზობელ ქვეყნებს შეიძლება მიეწოდოს. ევროპის გარდა, ყველა მეზობლისადმი გაგვაჩნია ენერგიის მისაწოდებლად საჭირო ინფრასტრუქტურა. შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელი ამ მხრივ მნიშვნელოვან პერსპექტივას გვანიჭებს. ხსენებული პროექტით მოხდება განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარების ხელშეწყობა და გაიზრდება ტრანზიტის და ვაჭრობის შესაძლებლობები ევროკავშირსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონს შორის. ამ პროექტის განხორციელების შედეგად საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის ელექტრო გადამცემი ხაზებისა და სისტემების დაკავშირებით ევროპა შეძლებს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონს დაუკავშირდეს.

2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა ანგარიში გამოაქვეყნა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, რითაც ხსენებული პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა დადასტურდა.

2021 წლის 26 აპრილს საქართველოს მთავრობამ კონკურსი გამოაცხადა შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელისა და ციფრული კავშირის მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ჩასატარებლად. შერჩევა მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებით განხორციელდა და გამარჯვებული გამოცხადდა. კვლევა 2022 წლის 11 მაისს დაიწყო და იქიდან 18 თვეში დასრულდება.

ამ მიმართულებით, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ რეგიონში ურთიერთჩართვისა და ენერგოტრანზიტის შესაძლებლობათა განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია ჩემი მთავრობისთვის. სანდო სატრანზიტო პარტნიორის რანგში საქართველო მნიშვნელოვანი მდგენელია ჰიდრორესურსების მიწოდების ჯაჭვში კასპიის ზღვის აუზიდან დასავლეთისკენ ენერგოტრანზიტის მთავარ რეგიონულ მარშრუტში.

ამ პროექტის განხორციელებას ახალ განზომილებაში გადაჰყავს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება ჩვენს ქვეყნებს შორის. კვლავ მსურს დავადასტურო, რომ საქართველოს უდიდესი პოტენციალი გააჩნია განახლებადი ენერგიის წარმოებისა და ექსპორტის მიმართულებით, რაც ევროპის ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებაში თავის წვლილს შეიტანს, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ისტორიული ღონისძიების ორგანიზებისა და მასპინძლობისთვის რუმინეთის მხარეს, პროექტის მხარდაჭერისთვის კი ურსულა ფონ დერ ლაიენს მადლობა გადაუხადა.

– მიხარია, რომ დღევანდელი მნიშვნელოვანი შეკრების გამორჩეულ საზოგადოებას მივმართავ. მადლობა მინდა გადავუხადო რუმინეთის მხარეს ღონისძიების მასპინძლობისა და ორგანიზებისთვის, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის არის. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს მისი მხარდაჭერისთვის ამ პროექტის მიმართ.

არსებულმა გეოპოლიტიკურმა გამოწვევებმა და უკრაინაში მიმდინარე ომმა უფრო მეტად გამოკვეთა დივერსიფიკაციისა და მედეგობის საჭიროება, ენერგო უსაფრთხოების სფეროში გადაუდებელი გამოწვევების მოსაგვარებლად. საქართველოს გეო-სტრატეგიული ადგილმდებარეობა ბუნებრივად გვაქცევს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდად, ისევე, როგორც ზღვაზე წვდომის არმქონე სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის 8 ქვეყნის კარიბჭედ; რაც უმნიშვნელოვანესი კვანძია ევროკავშირის გლობალური დაკავშირებადობის რუკაზე, სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაციისა და ევროპისადმი ენერგო რესურსების მიწოდების კონტექსტში.

ამიტომ, უმთავრეს პრიორიტეტად ვაქციეთ დაკავშირებადობა და განსაკუთრებული ხედვა შევიმუშავეთ კავკასიის რეგიონისა და ევროპის დასაკავშირებლად. ენერგიის, ციფრული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და მოდერნიზაციის მიმართულებით აქტიურად ვახორციელებთ ინვესტიციებს. ეს სექტორები შესაბამისობაში მოგვყავს ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან, ისევე როგორც იმ ვალდებულებებთან, რომლებიც ასოცირების შეთანხმებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცით, საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებითა და ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ფარგლებში ვიკისრეთ. ევროპის ძირითადი სატრანსპორტო ქსელის გაფართოება და აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს გვთავაზობს ისეთი სტრატეგიული პროექტების მხარდაჭერისთვის, რომლებიც ეროვნულ და ფართო რეგიონულ მნიშვნელობას ფლობს, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რუმინეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლაე-იონელ ჩუკას ბუქარესტში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში შეხვდა.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტნიორი ქვეყნების ლიდერების მიერ მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმდინარე გამოწვევების ფონზე.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ამ პროექტს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დაკავშირებადობის შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ ამ იდეის თავდაპირველი ინიციატორიც ჩვენი ორი ქვეყანა გახლდათ შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის სახით და რომელიც მასშტაბურ ევროპულ პროექტში გადაიზარდა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო ამ ინიციატივის დროული განხორციელების ერთგულ რჩება.

საუბარი ასევე შეეხო ორ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას შორის არსებული დარგობრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობას, მათ შორის, ვაჭრობისა და ეკონომიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, განათლებისა და კულტურის სფეროებში. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, ბოლო წლების განმავლობაში რუმინეთი ქვეყნის წამყვან სავაჭრო პარტნიორებს შორის რჩება და საქართველო მზად არის სრულად გამოიყენოს არსებული პოტენციალი, როგორც ვაჭრობასა და ეკონომიკაში, ისე სხვა მიმართულებით.

ხაზი გაესვა ბოლო პერიოდში საქართველოს თავდაცვისა და მედეგობის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების შესახებ გადაწყვეტილებას, რითიც რუმინეთმა კვლავ დაადასტურა საქართველოსადმი მტკიცე პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა რუმინელ კოლეგას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგის განხორციელების მხარდაჭერისათვის.

## „ენერგიის მზარდი წვლილის ინტეგრაციისთვის ჩვენ გვჭირდება უფრო მეტი ჩართვა“

ურსულა ფონ დერ ლაიენმა „სტრატეგიული პარტნიორობა მწვანე ენერგეტიკის განვითარებისა და გაზიარების საკითხებში“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროკავშირმა შეძლო შეემცირებინა რუსული რესურსების გამოყენება, და ეს არ არის ახალი გეოპოლიტიკური ენერგოუსაფრთხოების გზა. ეს არის, ასევე, სამომავლო ინიციატივების საფუძვლის შექმნა სუფთა, ხელმისაწვდომი ენერგორესურსების მიღების მიზნით.

რუმინეთის პრეზიდენტმა გამოთქვა მოლოდინი, რომ გაფართოვდება საზღვაო ტრანსპორტი საქართველოსთან და საქართველოს მიმართულებით, რომელიც რუმინეთის ხანგრძლივი პარტნიორია.

– ჩვენი მთავარი ამოცანა არის ენერგოუსაფრთხოება და რეგიონული თანამშრომლობა. ეს საკითხები უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იყო რუმინეთისთვის, ჩვენი საგარეო პოლიტიკის კონტექსტში და ასევე ჩვენი ეროვნული განვითარების სტრატეგიისთვის. ეს საკითხები მთავარი პრიორიტეტი იყო ევროკავშირისთვისაც, რადგან არსებული უსაფრთხოების სიტუაცია და სამხედრო აგრესია უკრაინაში მიმდინარეობს, ჩვენ გვჭირდება უკეთესი თანამშრომლობა და მეტი სოლიდარობა საერთო გამოწვევების დასაძლევად. დღევანდელი შეთანხმება ქმნის ჩარჩოს გრძელვადიანი თანამშრომლობისთვის ჩვენს ქვეყნებს შორის სხვადასხვა ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებით.

ილჰამ ალიევის თქმით, აღნიშნული შეთანხმების განხორციელება ძალიან დიდი წვლილი იქნება ევროპის ენერგოუსაფრთხოების საქმეში.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის თქმით, ქვეყნების ლიდერებმა უნდა უზრუნველყონ ქვეყნების ეკონომიკური და ენერგოუსაფრთხოება.

2022, 19 დეკემბერი, №249

# რუსეთი ფართომასშტაბიანი შეტევისათვის ემზადება




რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე მძაფრი შეტაკებები ჯერჯერობით დონბასშია. მალე შესაძლოა ვითარება შეიცვალოს.

რუსი ოკუპანტების მცდელობა, აეღოთ ბახმუტი, მარცხით დამთავრდა. მართალია, ბახმუტის ჩრდილოეთ გარეუბანში რუსებს გარკვეული წინსვლა ჰქონდათ, მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა. უკრაინული არმიის ელვისებური კონტრშეტევის შედეგად ოკუპანტები მოპოვებული პოზიციებიდან განდევნეს. ჩაიშალა ბახმუტის ალყაში მოქცევის მცდელობაც. რუსებმა ვერც ბახმუტისათვის რკალის შემორტყმა შეძლეს.

– ზარალი, რომელსაც რუსეთის არმია განიცდის, განუზომელია, – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.

ასევე წარუმატებელი გამოდგა რუსი ოკუპანტების მცდელობა, დაეკავებინათ ავდეევკა. გენერალ სუროვიკინის დანაქადნი, ავდეევკასთან უკრაინელებს „კოტიოლს" მოვუწყობთო, ცარიელ სიტყვებად დარჩა. მართალია, სუროვიკინი ომს მხეცური, დაუნდობელი მეთოდებით აწარმოებს, მაგრამ უკრაინელთა წინააღმდეგობის გატეხა მან ვერ შეძლო. გრძელდება ბრძოლები სოლედართან, მარინკასთან, სპორნოესთან. მთელი დონბასი ცეცხლშია გახვეული. ოკუპანტებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

რუსეთის ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ჯარისკაცების მომზადება. მათმა რაოდენობამ 300.000-ს უნდა მიაღწიოს. ამის შემდეგ დაიწყება ლაშქრობა ბელორუსის ტერიტორიიდან უკრაინის დედაქალაქზე.

– რუსების მთავარი სამიზნე კიევია! ეჭვი არ მეპარება, რომ კიევზე ლაშქრობის განმეორება გარდაუვალია! – მიიჩნევს ზალუჟნი.

სავარაუდოდ, ჯარისკაცთა ახალი მასა უკვე იანვრის დასაწყისისათვის ფრონტზე გასაგზავნად მზად იქნება. სხვა საქმეა, თუ რამდენად ხარისხიანი იქნება მომზადება. გამოცდილი რუსი ოფიცრები, რომლებმაც გამოიარეს ჩეჩნეთი და სირია, უკვე ლიკვიდირებულნი არიან. ახალწვეულებისა და რეზერვისტებისათვის არა აქვთ ყაზარმები, საკვები, არ ჰყოფნით იარაღი. შესაბამისად, ლაშქრობა კიევზე, დიდი ალბათობით, წარუმატებლად დამთავრდება.

– მიუხედავად ამისა, პუტინი კიევზე ლაშქრობის გამეორებას კატეგორიულად მოითხოვს, – წერს ამერიკული გაზეთი „ეკონომისტი".

გენერალმა ზალუჟნიმ ამერიკელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეჭვი არ ეპარება, კიევზე ლაშქრობა გამეორდება. უკრაინასაც ცხელი ზამთარი მოელის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთ-აშშ-ის ამჟამინდელ ურთიერთობებზე განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ აშშ უკრაინას ეხმარება და მომავალშიც დაეხმარება.

– უკრაინა რუსეთის აგრესიის მსხვერპლია! მან თავი უნდა დაიცვას რუსეთის აგრესიისაგან, – ნათქვამია განცხადებაში.

ამავე დროს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ აშშ რუსეთთან ომის მდგომარეობაში არ იმყოფება.

# აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო: რუსეთს დიალოგი არ სურს!




აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორმა ბიორნსმა განაცხადა, რომ რუსეთს უკრაინასთან დაკავშირებით დიალოგი არ სურს. მოსკოვი ყოველგვარ კომპრომისს უარყოფს, ამის გარეშე კი მოლაპარაკებები შეუძლებელია.

– ამ ეტაპზე რუსეთ-უკრაინას შორის სამშვიდობო შეთანხმება შეუძლებელია. მიზეზი რუსეთის აგრესიული და მაქსიმალისტური პოზიციაა, – თქვა ბიორნსმა.

# იაპონია შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს



იაპონია თავის შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს. არმიის გაძლიერებაზე 350 მილიონი დოლარია გამოყოფილი. დაგეგმილია სარაკეტო ნაწილების შექმნა. ამ რაკეტებმა უნდა მიაღწიონ იაპონიის უმთავრესი მოწინააღმდეგის, ჩინეთის, ტერიტორიამდე.

# კიევის დაბომბვა მარცხით დამთავრდა



რუსეთმა ირანული დრონებით უკრაინის დაბომბვა ცადა. მხოლოდ კიევის მიმართულებით 70-მდე დრონი გაუშვეს.

კიევში გაშვებული 70 დრონიდან უკრაინელებმა 60 ჩამოაგდეს. მსგავსი ბედი ეწია სხვა რეგიონებში გაშვებულ დრონებსაც. მათი უმრავლესობა უკრაინელებმა ჩამოაგდეს.

# დონბასში ბრძოლები გრძელდება



უკრაინელებმა განახორციელეს კონტრშეტევა ბახმუტთან. შედეგად რუსი ოკუპანტები ბახმუტის გარეუბნიდან გააძევეს.

სასტიკი ბრძოლებია ავდეევკასთანაც. მარცხით დამთავრდა რუსი ოკუპანტების მცდელობა, წინ წაწეულიყვნენ. ასევე მარცხით დასრულდა მარინსკის აღების მცდელობაც. მართალია, დონბასელი სეპარატისტების ლიდერმა პუშილინმა საზოგადოებას ამცნო, რომ მარინსკის 80% აიღეს, მაგრამ ეს უფრო მითი აღმოჩნდა, ვიდრე რეალობა. უკრაინელებმა სრული კონტროლი დაამყარეს როგორც მარინსკის ცენტრზე, ისე გარეუბანზეც. პასუხად რუსმა ოკუპანტებმა მარინსკას ქვემეხები დაუშინეს.

მარინსკის გარდა, სისხლისმღვრელი ბრძოლებია სოლედართანაც. რუსმა ოკუპანტებმა ქალაქი ვერ აიღეს, მაგრამ ქვემეხებით პრაქტიკულად მიწასთან გაასწორეს.

შედარებითი სიმშვიდეა უგლედართან. აქ ოკუპანტებმა მარცხი იწვნიეს და სერიოზულ შეტევას გაურბიან.

დაძაბული ვითარებაა სვატოვოსთან. აქ უკრაინული არმია ნელ-ნელა წინ მიიწევს. უკრაინელები უკვე სვატოვოს ცენტრს ბომბავენ. ოკუპანტებს შორის დიდი დანაკარგია.

პარალელურად გრძელდება დონეცკის, გორლოვკისა თუ დონბასის სხვა ქალაქების დაბომბვა. ოკუპანტების ყაზარმები მიწასთან არის გასწორებული.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

## მამაკაცმა ზვიგენის თავდასხმა დანით მოიგერია



აშშ-ის ჰავაის კუნძულებზე 68 წლის მამაკაცმა სამმეტრიანი ვეფხვისებური ზვიგენის თავდასხმა განიცადა და მისი მოგერიება დანით მოახერხა.

დიდი მტაცებელი თევზი მამაკაცს სამშაბათს, 13 დეკემბერს დაესხა თავს. ის ნაპირიდან დაახლოებით 50 მეტრში დაცურავდა, როდესაც ზვიგენმა მას შეუტია და პირი სტაცა. კაცი არ დაიბნა, დანა მოიმარჯვა და აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. მან აიძულა ზვიგენი, მისთვის თავი დაენებებინა და გასცლოდა.

დაშავებულმა მამაკაცმა ამის შემდეგ ნაპირისკენ გაცურა. ხმელეთზე ასვლაში მას იქვე მყოფი სერფერები დაეხმარნენ. მან თავდასხმის შედეგად სერიოზული დაზიანებები მიიღო და, მძიმე მდგომარეობაში მყოფი, საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ამჟამად მისი მდგომარეობა გაუმჯობესებულია და რეაბილიტაციის კურსს გადის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი

# ლაშა ტალახაძე მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონია




ლაშა ტალახაძე მსოფლიოს ჩემპიონია. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ლაშასგან ამას მიჩვეული ვართ. უჩვეულო მხოლოდ ის იყო, რომ ტალახაძეს ამჯერად გაუჭირდა და ტიტულის მოპოვება მხოლოდ მასზე არ იყო დამოკიდებული.

29 წლის ქართველმა ძალოსანმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა და კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

ქართველ გოლიათს ტრავმა აწუხებდა და ამიტომაც იყო, რომ ექვსიდან ოთხი ცდა გამოიყენა. ლაშამ ატაცში 208 და 215 კილოგრამი კი დაძლია, მაგრამ 220-კილოგრამიან შტანგას ველარ მოერია, თუმცა მცირე ოქროს მოსაპოვებლად საკმარისი გამოდგა.

შედარებით უფრო გაუჭირდა აკვრაში, სადაც 245 კილოგრამი პირველ ცდაზე მსაჯებმა არ ჩაუთვალეს, მაგრამ მეორე მისვლაზე ასწია, შემდეგ 251 კილოგრამს მოერია, რაც ოქროსთვის საკმარისი იყო, რადგან მისმა კონკურენტებმა უფრო მაღალი წონები ვერ დააფიქსირეს.

ორჭიდის ჯამში ტალახაძემ 466 კგ დააგროვა, რაც მის მიერ დამყარებულ რეკორდზე 26 კილოგრამით ნაკლებია. მეორე ადგილზე აწ უკვე ბაჰრეინის სახელით მოასპარეზე გორ მინასიანი (462) გავიდა, ხოლო მესამეზე – სომეხი ვარაზდატ ლალაიანი (461).

ორი მედალიც 109 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოვიპოვეთ. გიორგი ჩხეიძემ ატაცში 170 კილოგრამი დაძლია, რაც მეექვსე შედეგი იყო, მაგრამ ქართველმა ძალოსანმა აკვრაში იყოჩაღა, სადაც 219 კილოგრამს მოერია და როგორც აკვრაში, ისე ორჭიდის ჯამში ვერცხლის მედალი ირგუნა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## საზოგადოება

# თუმანიშვილის თეატრი ფილადელფიაში მიემგზავრება

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, სადაც ფილადელფიაში 22 დეკემბერს სპექტაკლ „მწვანე ბარათს" ითამაშებს.

რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ წარმოდგენა ნინო სადღობელაშვილის სცენარის მიხედვით დადგა. მხატვარი თეო კუხიანიძეა, კოსტიუმების მხატვარი – დათუნა სულიკაშვილი.

„მწვანე ბარათი" თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ერთობლივი მასშტაბური პროექტია. სპექტაკლი ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების თავგადასავლის ფონზე აღწერს. პიესა აგებულია რეალური, დოკუმენტური ფაქტების მიხედვით, რომლებიც ემიგრანტთა რთული ყოფის, თვითგადარჩენისთვის ბრძოლის, მონატრებისა და ადამიანური სისუსტეების სევდიან და მხიარულ ამბებს გვიყვებიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

## ხუთი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ერთი წლის ბავშვი ცოცხალი გადარჩა



ამერიკის უისკონსინის შტატის ქალაქ პლიმუთში ერთი წლის ბავშვი მამის თვალწინ ხუთი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, ბეტონის იატაკზე დაეცა და მხოლოდ ჩალურჯებებით გადარჩა.

კეინან ჰარდენბურგი, რომელიც მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გახდება ორი წლის, ოჯახთან ერთად პლიმუთის სკოლაში იმყოფებოდა. ოჯახი აპირებდა, მხარდაჭერა გამოეხატა მის უფროსი ძმისთვის, რომელიც ჭიდაობის ტურნირში იღებდა მონაწილეობას. ოჯახის წევრები შეჯიბრების მიმდინარეობას შენობის მეორე სართულიდან ადევნებდნენ თვალს. ბავშვის მამა ეი ჯეი ჰარდენბურგი კიბის გვერდით იდგა, ვინაიდან ჩათვალა, რომ ეს ყველაზე კარგი ადგილი იყო იმისთვის, რომ უმცროსი შვილის მოძრაობისთვის თვალი ედევნებინა და მისთვის ქვევით ჩასვლის საშუალება არ მიეცა.

– ის პარაპეტთან მივიდა, თვალის დახამხამებაში წინ ნაბიჯი გადადგა და თავით ქვევით გადმოეშვა. ცხოვრებაში ამაზე საშინელი არაფერი მინახავს. როდესაც ამ ყოველივეს ვიხსენებ, საშინელ ჩხვლეტას ვგრძნობ მკერდში, – განაცხადა ბავშვის მამამ.

ბავშვიც დედის ჯენიფერის თქმით, ბავშვი ხუთი მეტრის სიმაღლიდან კიბის ქვედა საფეხურზე დაეცა. მან გაიგონა, როგორ ითხოვდა დახმარებას მისი მეუღლე და მისკენ გაიქცა.

– დავინახე, როგორ აიყვანა ხელში კეინანი. ბავშვი ყვიროდა და ტიროდა. ამის დანახვაზე უზომოდ ბედნიერი ვიყავი, ვინაიდან ბავშვი ცოცხალი იყო, მაგრამ ამ დროს ეი ჯეიმ მითხრა, რომ გრძნობდა, როგორ უსივდებოდა ბავშვს ზურგი, – აღნიშნა ბავშვის დედამ.

თვითმხილველებმა მაშინვე სამაშველო სამსახური გამოიძახეს და ბავშვი შვეულმფრენით სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. იქ კეინანს თვალის ბუდის მოტეხილობა და თავის ქალის დაზიანება დაუდგინეს. ბავშვი სამი დღის შემდეგ გამოწერეს საავადმყოფოდან. ექიმების თქმით, მისი ჯანმრთელობა მალე სრულად აღდგება.

## მამაკაცი საკუთარ ინტუიციას ენდო და სოლიდური თანხა მოიგო




აშშ-ში მამაკაცმა ბოლო მომენტში გადაწყვიტა, ეკონომია არ გაეკეთებინა ლატარიის ბილეთებზე, საკუთარ ინტუიციას მიენდო და შედეგად 426 ათასი დოლარი მოიგო.

66 წლის რეი ფლაუერს-უმცროსმა ავტოგასამართ სადგურზე იაფფასიანი ლატარიის ბილეთების შესაძენად შეიარა, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და უფრო ძვირადღირებული, 10-დოლარიანი ლატარიის ბილეთი იყიდა. ფულის გადახდის შემდეგ მან მაშინვე გადაფხიკა ბილეთზე დამცავი ფენა და გაოგნებული ადგილზევე გაქვავდა. აღმოჩნდა, რომ მისმა მოგებამ მილიონი დოლარი შეადგინა.

ფლაუერს-უმცროსი მაშინვე სახლისკენ გაეშურა, რათა ეს სასიხარულო ამბავი მეუღლისთვის გაეზიარებინა. თავდაპირველად ცოლმა მისი სიტყვები სერიოზულად არ მიიღო.

– მან არ დამიჯერა, ფიქრობდა, რომ ყალბ ბილეთს ვაჩვენებდი, – იხსენებს რეი ფლაუერს-უმცროსი.

იმისთვის, რომ საკუთარ წარმატებაში საბოლოოდ დარწმუნებულიყო, მამაკაცმა ლატარიის გათამაშების შტაბ-ბინას მიაკითხა.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა მამაკაცს მოგება დაუდასტურეს და შესთავაზეს, ან დაუყოვნებლივ მიეღო მოგებული თანხა, ან ყოველწლიურად მიეღო 50 ათასი დოლარი 20 წლის განმავლობაში. ფლაუერს-უმცროსმა პირველი ვარიანტი ამჯობინა და ყველა გადასახადის გასტუმრების შემდეგ 426 ათასი დოლარი მიიღო.

მამაკაცი მოგებული თანხის ნაწილის ეკლესიისთვის შეწირვას, ოჯახის დახმარებას, ხოლო დარჩენილი თანხის სამომავლოდ გადადებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


# განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# შავი ლომი ზედიზედ მეორედ სუპერთასის გამარჯვებულია

შავმა ლომმა რაგბი ევროპის სუპერთასის ფინალში ისრაელის თელავივ ჰითი 29:17 დაამარცხა და თასი ზედიზედ მეორედ ჩაიბარა.

ევროპის რანგით მესამე საკლუბო ტურნირი შარშან დაარსდა და პირველ ფინალს ლისაბონმა უმასპინძლა. მაშინ ქართულმა ფრენჩაიზმა პორტუგალიურ ლუზიტანუშს 17:14 მოუგო. ამჯერად ფინალს საქართველომ უმასპინძლა და ჩვენმა გუნდმა ტიტული კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთაფრიკელი და ფიჯელი მორაგბეებით დაკომპლექტებული ჰითი წელს ბევრად უკეთესი გუნდი იყო და ისრაელში შავ ლომს 24:18 სძლია, მანამდე კი ქუთაისში გამარჯვება არ დაანება – 25:25.

ამრიგად, შავი ლომის მორაგბეებს, ტიტულის დაცვასთან ერთად, რევანში სწყუროდათ და გამარჯვებაც პრაქტიკულად პირველივე ნახევარში დაიბევეს.

ლევან მაისაშვილის შეგირდებმა ფინალური შეხვედრა კარგად, მაღალ ტემპში დაიწყეს. დაცვაში აგრესიულ და საიმედო თამაშთან ერთად, მასპინძლები ფაზების აკინძვას ახერხებდნენ, უპირატესობას ფლობდნენ შერკინებასა და დერეფანში, ხელდახელ სწრაფად შლიდნენ ბურთს და ფრთებზე მოპოვებული უპირატესობით ლამაზი ლელოები გაიტანეს.

მატჩის დებიუტში ანგარიში ლუკა მატკავამ ჯარიმით გახსნა. განახლდა თუ არა შეხვედრა, მირიან მოდებაძემ ცენტრში გადაცემა ჩაჭრა და სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო, გრძელი გადაცემის შემდეგ კი სანდრო მამამთავრიშვილი ფრთაზე ლელოს აუცილებლად გაიტანდა, რომ არა ნაილ სანდერსის მიერ უბურთო მოთამაშეზე თამაში (მოდებაძეს ხელი ჰკრა). პორტუგალიელმა რეფერიმ თანამსაჯთან კონსულტაციის შემდეგ სანდერსი გაასინბინა, ჰითი კი საჯარიმო ლელოთი დასაჯა.

მე-11 წუთზე შავი ლომი კიდევ უფრო დაწინაურდა. მარცხენა ფრთაზე მეტოქე მძლავრი კონტაქტით ნიკო აფციაურმა ჩამოიცილა, სიჩქარე აკრიფა და 22-ში შევიდა, კარგად მიჰყვნენ თანაგუნდელებიც, რის შემდეგაც დემე თაფლაძემ რაქიდან ბურთი აიტაცა და მეორე ლელო გაიტანა. ამჯერად გარდასახვა არაზუსტი იყო – 15:0.

ჰითი გააქტიურდა და მწვავე შეტევა ჯარიმის ხარჯზე მოვიგერიეთ, რასაც ჯორდან ჰაიტის 3 ქულა მოჰყვა. მიუხედავად ამისა, ჩვენი გუნდი სრულად აკონტროლებდა თამაშს და მეტოქემ პროვოკაციებს მიჰყო ხელი, რასაც რამდენჯერმე მოთამაშეთა შორის წაკინკლავება მოჰყვა. ამან თამაშის ტემპი დააგდო, ნერვიულობა ტექნიკურ მხარეზეც აისახა და ორი სალელოვე შეტევა არაზუსტი პასის გამო გავანიავეთ. თუმცა ტაიმის ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: ლაშა ხმალაძემ ფეხით გადაკიდებული ბურთი მოხსნა და კონტრშეტევა წამოიწყო, ოვალი ორივე ფრთაზე სწრაფად ჩათამაშდა და მარჯვენა ალამთან ხმალაძის ლელოთი დასრულდა. მატკავამ გარდასახა და შავმა ლომმა ტაიმი სოლიდურად მოიგო – 22:3.



მეორე ტაიმიც შავი ლომის სწრაფი, ფაზური შეტევით დაიწყო. წითელ ზონაში ფორვარდების რამდენიმე მიძალების შემდეგ ლუკა მატკავამ ზურგს უკან სივრცე შენიშნა, ცრუ მოძრაობის შემდეგ ხაზი სუფთად გაჭრა და თავისივე ლელო გარდასახა. როგორც ჩანს, 26-ქულიანმა უპირატესობამ მორაგბეები მოადუნა, ამას შეცვლები დაერთო და გარკვეული დროით თამაშის დალაგება გაგვიჭირდა.

რადგან ჯარიმები მოგვიმრავლდა, ჰითმა ჩვენს 22-ში დიდი დრო გაატარა და 55-ე წუთზე იური ფან ფირენმა, ხოლო 59-ეზე ჰესელი ნასებემ ლელოები გაიტანეს, ჰაიტმა ორივე გარდასახა – 29:17.

მასპინძლები გამოერკვნენ და, რომ არა ტექნიკური წუნი, მეხუთე ლელოს მალევე გაიტანდნენ, მაგრამ სტუმრებს 12-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის შანსი შერჩათ, განსაკუთრებით თორნიკე აქუბარდიას სინბინის შემდეგ, მაგრამ შავმა ლომმა თავი ამჯერად კარგად დაიცვა და გაიმარჯვა.

**კევინ მუსიკანტი, ჰითის მთავარი მწვრთნელი:**

– პირველ ტაიმში თამაში არ წაგვივიდა. შესვენების შემდეგ დაბრუნება მოვახერხეთ, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, საკმარისი არ აღმოჩნდა. ეს ჩვენი ყველაზე ცუდი თამაში იყო ამ სეზონში.

**მერაბ შარიქაძე:**

– ძალიან ბედნიერი ვარ. პირველი ტაიმი დიდი სხვაობით მოვიგეთ და, მართალია, მეორე ტაიმში მეტოქე თამაშში დაბრუნდა, თუმცა გამარჯვება დავიმსახურეთ.

**ლევან მაისაშვილი:**

– პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ და მეორეც კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე რატომღაც მოვეშვით და მეტოქეს სხვაობის შემცირების შესაძლებლობა მივეცით. ეს „ჰითის" დამსახურებაცაა, რომელიც ძალიან კარგი გუნდია. ვფიქრობ, საინტერესო ფინალი გამოვიდა. ვულოცავ ჩემს გუნდს და მთელ ქვეყანას ამ გამარჯვებას.

# ნაკრების ფეხბურთელები მწვრთნელობას სწავლობენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დეპარტამენტის ორგანიზებით, მწვრთნელთა განათლების ბ+ა ლიცენზიის კურსი დაიწყო.



სასწავლო კურსი საქართველოში პირველად ტარდება და შექმნილია განსაკუთრებული საფეხბურთო სტაჟის მქონე ფეხბურთელებისთვის, რომლებიც შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

მინიმუმ 10 თამაში საქართველოს ნაკრებში;

საქართველოს ნაკრების წევრი მინიმუმ 7 წლის განმავლობაში;

შეუსრულდა ან სწავლების პერიოდში უსრულდება 30 წელი;

ბ+ა ლიცენზიის კურსში მონაწილეობენ ეროვნული ნაკრების მოქმედი და ყოფილი ფეხბურთელები: გურამ კაშია, ჯაბა კანკავა, ლევან მჭედლიძე, ლევან ყენია, ვაკო ყაზაიშვილი, გიორგი მერებაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, გოგიტა გოგუა, სანდრო კობახიძე, რომლებსაც კვიპროსიდან ონლაინრეჟიმში გიორგი ლორიაც შეუერთდა.

სპეციალურად აღნიშნული კურსისთვის შექმნილი პროგრამის საფუძველზე, მათ საშუალება ეძლევათ, ც ლიცენზიის გარეშე გაიარონ ბ+ა კურსი და, გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გახდნენ უეფას ა ლიცენზიის მფლობელები. კურსი 6 მოდულისგან შედგება და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილს. კურსის მონაწილეებს გამოცდილებას უეფას ექსპერტები კრის ვან დერ ჰაგენი და გენადი სკურტული უზიარებენ.

პირველი მოდულის გახსნას სფფ-ის გენერალური მდივანი დავით მუჯირი, ტექნიკური დირექტორი ზაზა ზამთარაძე და პირველი ვიცეპრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე ესწრებოდნენ. ჭუმბურიძემ მონაწილეებს წარმატება უსურვა და სამწვრთნელო განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა, ასევე აღნიშნა, რომ მიმართულება ფეხბურთის ფედერაციისთვის პრიორიტეტულია.

**გურამ კაშია:**

– ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ პირველ დღეს. რა თქმა უნდა, კომფორტის ზონიდან უნდა გამოვიდეთ, რადგან იქნება პრაქტიკული ნაწილი, სადაც ვარჯიშებს ჩავატარებთ, რაც ჩვენთვის უჩვეულოა. მონდომებულები ვართ და გვინდა, რომ წარმატებით დავასრულოთ ეს კურსი.

საინტერესო გამოწვევაა, რადგან ეს ჩვენი საყვარელი სფეროა და გვინდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილება გავუზიაროთ და Pro ლიცენზიის სწავლებაზე ეტაპობრივად გადავიდეთ.

**კრის ვან დერ ჰაგენი:**

– მოქმედი ფეხბურთელებისთვის ცოდნის გაზიარება საინტერესოა. ასეთი გამოცდილების მქონე ფეხბურთელებს ახალს ვერაფერს ასწავლი, მაგრამ ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ სჭირდებათ. მოქმედ ფეხბურთელებს უდიდესი უპირატესობა აქვთ, რადგან სპორტის ამ სახეობის შესახებ ყველაფერი იციან. ეს ერთ-ერთი ნაწილია, მაგრამ მთავარია, სამწვრთნელო იდეებს როგორ გადასცემ, სამწვრთნელო ხერხებს როგორ მიმართავ, რათა უკეთესები გახდნენ. სწორედ ეს უნდა ისწავლონ ფეხბურთელებმა და მხოლოდ სამწვრთნელო პროცესში ჩართულობით შეძლებს მოთამაშე, რომ გარდაიქმნას მწვრთნელად და ამას გარკვეული დრო სჭირდება.

# ხორვატია მუნდიალზე ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა

**ხორვატია-მაროკო 2:1**

**დოჰა. ხალიფა სთედიუმი**

1:0 გვარდიოლი (7), 1:1 დარი (9), 2:1 ორშიჩი (42)

**ხორვატია:** ლივაკოვიჩი, სტანიშიჩი, შუტალო, გვარდიოლი, მაიერი (პაშალიჩი 66), მოდრიჩი, კოვაჩიჩი, პერიშიჩი, კრამარიჩი (ვლაშიჩი 61), ორშიჩი (იაკიჩი 90), ლივაია (პეტკოვიჩი 66)

**მაროკო:** ბონო, ჰაკიმი, ელ-იამიქი (ამალა 66), დარი (ბენუნი 64), ატია-ალა, ამრაბატი, ელ ხანუსი (უნაჰი 56), საბირი (შაირი 46), ზიეში, ენ-ნესირი, ბუფალი (ზარური 64)

ხორვატიის ნაკრები გრანდად ყალიბდება. ზლატკო დალიჩის გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე 2018 წელს ვერცხლი ირგუნა, ახლა კი ბრინჯაოს დასჯერდა.

ანგარიში მეშვიდე წუთზე გაიხსნა, როცა ივან პერიშიჩის პასით იოშკო გვარდიოლმა თავით შესანიშნავი გოლი გაიტანა და ხორვატია დაწინაურდა. მაროკო დიდი ხანი არ ყოფილა მდევრის როლში, რადგან არასრულ ორ წუთში საპასუხო შეტევა გოლით აშრაფ დარიმ დაასრულა.

თითქოს პირველი ტაიმი ასეც უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ 42-ე წუთზე მისლავ ორშიჩმა ულამაზესი გოლი გაიტანა და საკუთარი გუნდი მეორედ დააწინაურა.

მაროკოს ნაკრებმა შესვენების შემდეგ ბევრი იბრძოლა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა და დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ვალიდ რეგრაგის გუნდისთვის ეს მუნდიალი დაუვიწყარი და ისტორიულია, რადგან პირველი აფრიკული ქვეყანა გახდა მაროკო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო ოთხეულში მოხვდა.

თუმცა მაროკომ მსოფლიოს ჩემპიონატი განრისხებულმა დაასრულა. აფრიკელებმა მიიჩნიეს, რომ მათი დამარცხება ცუდმა მსაჯობამ განაპირობა. დასრულდა თუ არა თამაში, არბიტრებს ალყა შემოარტყეს, რადგან რამდენიმე გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პრეტენზია ჰქონდათ.

მაროკოელთაგან ყველაზე მეტად არშაფ ჰაკიმი გაბრაზდა, რომელიც მატჩის მსვლელობისას არბიტრს ყველაზე ხშირად ეკამათებოდა, მისი დამთავრების შემდეგ სტადიონის გვირაბში ხმამაღალ პროტესტს გამოთქვამდა, გზად შემხვედრ ფიფას პერსონალს ეჩხუბებოდა და, გავრცელებული ხმებით, თვით ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს უყვიროდა. შესაბამისად, ფიფამ ჟურნალისტებს სთხოვა, ეს კადრები ამოეღოთ. გარდა ამისა, მაროკოს ნაკრებმა უპატივცემულობა გამოიჩინა და ხორვატიის ნაკრების დაჯილდოებას არ დაესწრო.

**ზლატკო დალიჩი:**

– ეს მოოქროვილი ბრინჯაოა. ძალიან რთული მატჩი იყო, მაგრამ ჩვენ ეს მედლები ხორვატი ხალხისთვის მოვიპოვეთ, ყველასათვის, ვინც მხარს გვიჭერდა. ზედიზედ მეორე მუნდიალიდან მივდივართ შინ მედლებით. ეს არაჩვეულებრივია. ამ მოგებას ჩირო ბლაჟევიჩს ვუძღვნი. ყველაფერი მისგან დაიწყო. შეიძლება, ხუთჯერ მოვიგო მედლები, მაგრამ შენ ყოველთვის მთავარი იქნები ხორვატ მწვრთნელთა შორის. ცოტას თუ სჯეროდა, ასეთ წარმატებას თუ მივაღწევდით. მადლობა ყველას მუხლჩაუხრელი შრომისა და იმ გმირული თამაშისთვის, რომელმაც საოცარი ბრინჯაოს მედლები მოგვიტანა.

# მამუკელაშვილმა განკუთვნილი დრო შეირგო

იანის ადეტოკუმბოს არყოფნაში სანდრო მამუკელაშვილმა ბლომად დრო მიიღო და კარგადაც გამოიყენა. ბერძენი ლიდერის გარეშე კი მილუოკელებმა 123:97 იუტა ჯაზს მოუგეს.

მამუკელაშვილი სათადარიგო კი იყო, მაგრამ პარკეტზე 23:28 წუთი გამოჩნდა, რა დროშიც 3 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი დააგროვა. ქულების მონაგარი ბევრი არ ყოფილა და სანდროს ამაზე დიდადაც არ უზრუნია, რადგან კალათს სულ ორჯერ შეუტია: ერთი სამიანი ზუსტად ისროლა, ერთი ორქულიანი კი ააცილა. სამაგიეროდ, 8 მოხსნიდან 4 მეტოქის ფარზე იყო, ხოლო 6 პასი მძიმე ფორვარდისთვის მაგარი მაჩვენებელია. ჩვენებურის მოედანზე ყოფნის დროს მილუოკიმ მეტოქეზე 26 ქულით მეტი ჩააგდო, რაც გუნდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო.

მილუოკელებს 21 მოგება და 8 მარცხი აქვთ და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილზე არიან, მომდევნო მატჩი კი ნიუ ორლეანთან 20 დეკემბერს აქვთ.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## სამგლოვიარო განცხადებები

თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნატო მოსემღვდლიშვილს დედის

**ნამიკო ხუციშვილის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 2. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 3. ძველი ბერძენი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი; 4. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილი; 8. ფინური წარმოშობის ამერიკელი არქიტექტორი, კენედისა და დალესის სახელობის აეროპორტების პროექტის ავტორი; 9. ნავთობპროდუქტების გასაწმენდად გამოყენებული მათეთრებელი თიხა; 11. მთავარი ქუჩა ნიუ იორკში; 12. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 14. სქელი მურაბა; 16. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 17. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 19. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 21. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად:** 5. რაიმე მოვლენის დამახასიათებელი ნიშანი; 6. ორკესტრის ხელმძღვანელი; 7. ესპანეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 10. ერბოში ჩახარშული ყველით მომზადებული აჭარული კერძი; 13. ცნობილი ფრანგი ძიუდოისტი მამაკაცი; 15. სპორტის ტექნიკური სახეობა, მოტოციკლეტებით რბოლა ყინულზე ან წიდიან ბილიკზე; 18. სატუსაღო ძველ თბილისში; 20. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 22. მათემატიკის ნაწილი; 23. სიტყვის თავსართი გრამატიკაში; 24. ველური ვაზი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრუსია; 2. ქემელი; 3. რუმბი; 5. რუხი; 6. სუძუკი; 8. სტამპა; 11. პარაგრაფი; 13. ლეონიძე; 14. პატრიცი; 15. ბერბიჭა; 19. ლოსი.

**თარაზულად:** 1. პრეფექტურა; 4. ნეკრესი; 7. უნიკუმი; 9. ბარტოკი; 10. ოპელი; 12. ხამურაბი; 16. სამორინე; 17. პოლგარი; 18. ღრიანკალი; 20. ფოლორცი; 21. გეთი; 22. კასტილია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბუსოლი; 2. ფეოდალი; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. შემოქმედი; 9. დუბლიკატი; 11. ჩაკრულო; 12. ლისი; 14. იდეა; 16. თავკვერი; 17. რიგოლეტო; 19. მექისე; 21. გოგრა.

**თარაზულად:** 5. რეფლექსი; 6. კომერცია; 7. კალანდაძე; 10. გინესი; 13. რაბათი; 15. ესტრადა; 18. ხარები; 20. ბოტეგა; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. პროტესტი.

# ახალი თაობა

19 დეკემბერი

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6674

ევრო — 2.8341

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2452

100 რუსული რუბლი — 4.1225

## ამინდის პროგნოზი 19 დეკემბრისათვის




## მოდრიჩი: „ხორვატიამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა“



ხორვატიის ნაკრებმა მესამე ადგილისთვის მატჩში მაროკო დაამარცხა 2:1 და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ხორვატია მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და მათ დამსახურებულად მოიგეს. მატჩის შემდეგ მათი კაპიტანი ლუკა მოდრიჩი სიხარულს არ მალავდა: „მიხარია, რომ წარმატებას მივაღწიეთ და ეს წარმატება მთლიანად გუნდის დამსახურებაა. მთელი ტურნირის განმავლობაში კონკურენტუნარიანები ვიყავით და ეს დაგვიფასდა“.

## გარეტ საუთგეიტი ინგლისის ნაკრებში რჩება



ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გარეტ საუთგეიტი გუნდში დარჩება და უახლოეს მომავალში ახალ კონტრაქტს გააფორმებს. საფრანგეთთან წაგების შემდეგ იყო საუბრები იმის შესახებ, რომ შესაძლოა საუთგეიტი გუნდიდან წასულიყო, მაგრამ ასე მოხდა, გარეტი დარჩა. როგორც ჩანს, ინგლისის საფეხბურთო ფედერაცია მისი მუშაობით კმაყოფილია და მასში პოტენციალს ხედავს.

## ლევანდოვსკიმ ვარჯიში განაახლა



ბარსელონის ლიდერმა და მთავარმა ბომბარდირმა რობერტ ლევანდოვსკიმ გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა და, თუ სურათების მიხედვით ვიმსჯელებთ, საკმაოდ კარგ განწყობაზე იყო. ლევანდოვსკიმ შვებულება დროზე ადრე დაასრულა, რადგან 22 დეკემბრამდე ჰქონდა დრო. შეგახსენებთ, რომ პოლონეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს მერვედფინალში გამოეთიშა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ორი ნაცნობი ქუჩაში მიდის და საუბრობს. უცბად ერთი მეორეს ეუბნება:

— ჩქარა წავიდეთ!

— რა მოხდა?

— იქ, ქუჩის მეორე მხარეს, ჩემი ცოლი ჩემს საყვარელს ელაპარაკება.

მეორე პასუხობს:

— დამშვიდდი, ეს ჩემი ცოლი ელაპარაკება ჩემს საყვარელს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

— ყველაზე მეტად კბილის ექიმების და სიბნელის მეშინია...

— კბილის ექიმის რომ გეშინია, ეგ კიდევ გასაგებია და სიბნელის რატომღა გეშინია?

— წარმოგიდგენია, სიბნელეში რამდენი კბილის ექიმი შეიძლება იმალებოდეს?!

•••

ერთი ქალი მეორეს უყვება:

— გადავწყვიტე, მეუღლისთვის სიურპრიზი გამეკეთებინა და სკოლის ფორმა ჩავიცვი. ქმარი სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ასე გამოწყობილი შევეგებე.

— მერე?

— ქმარმა შემომხედა და მითხრა: „მე დასაძინებლად მივდივარ, შენ კი გაკვეთილები ისწავლე...“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზუმბა ამერიკაში დააჯილდოვეს



მომღერალი ზუმბა, ზაზა კორინთელი, საქართველოდან ამერიკაში წლების წინ წავიდა. მას საყვარელი საქმიანობა — მუსიკის წერა და სიმღერა არ შეუწყვეტია და ფილმებისთვისაც კი შექმნა მუსიკალური კომპოზიციები.

რეჟისორ გია დიასამიძის დოკუმენტური ფილმისთვის „უკან მომავლისთვის“ შექმნილმა ნაწარმოებმა მას დიდი წარმატება მოუტანა — ამერიკაში, სან ფრანცისკოს საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმი საუკეთესოდ დასახელდა და ზუმბა დიპლომითა და პრიზით დაჯილდოვდა.

## ანდრია გველესიანი კონცერტის ორგანიზატორებმა მოატყუეს



მომღერალი და მსახიობი ანდრია გველესიანი კონცერტის ორგანიზატორებმა მოატყუეს:

— წინასაახალწლოდ მაგარი „სიურპრიზი“ გამომიცხო ერთ-ერთმა ქალაქმა, რომელსაც სპეციალურად არ დავასახელებ. მათ მაგივრად მე მრცხვენია, ისეთი სიტუტუცე და უპასუხისმგებლობა იკადრეს.

რამდენიმე თითქმის დაგეგმილი და ხელშეკრულებამდე მიყვანილი 31 დეკემბრის პროექტი გამაუქმებინეს — 100%-იანი დასტურით, რომ მათ ქალაქში დავუკრავდით.

დღეს კი სხვას არეკვინებენ, ვინც მახარა, რომ გაუქმდა ჩვენი კონცერტი. თვითონ ვერც კი ბედავენ დარეკვას, რომ იციან, რა აქვთ ნაჭამი. არ არსებობს ამაზე დიდი არაპროფესიონალიზმი და არაადამიანობა.

ანდრია და ბენდი აი, ასე ჰაერში დავრჩით ვიღაც ტუტუცების გამო ახალი წლის ღამეს. ასე რომ, ველოდებით შემოთავაზებებს.

## „სუხიშვილების“ ოთხივე კონცერტზე ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა



ანსამბლ „სუხიშვილების“ ოთხივე კონცერტზე დასასწრები ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა.

ევროპული ტურნედან ტრიუმფით დაბრუნებულმა ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილებმა“ გადაწყვიტა, წინასაახალწლოდ ქართველი მაყურებლისთვის 26 და 27 დეკემბერს კონცერტი ჩაეტარებინა, თუმცა ბილეთები ისე სწრაფად გაიყიდა, რომ მაყურებელთა უმრავლესობა ბილეთის გარეშე დარჩა.

ანსამბლის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, მაყურებელთა თხოვნით თბილისის საკონცერტო დარბაზში კიდევ ერთი კონცერტი 28 დეკემბერს გაემართა. ამ დღის ბილეთებიც რეკორდულად მალე გაიყიდა, რის გამოც ორგანიზატორებმა კიდევ ერთი დღის, 29 დეკემბრის დამატების გადაწყვეტილება მიიღეს — ოთხივე დღის კონცერტებზე ბილეთები უსწრაფესად გაიყიდა.

წინასაახალწლოდ ანსამბლი მაყურებელს წარუდგენს ყველასათვის საყვარელ ცეკვებს როგორც ძველი, ისე ახალი პროგრამიდან.

## რეჟისორ გოგა ჭყონიას საზოგადოების დახმარება ესაჭიროება

რეჟისორ გოგა ჭყონიას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა და მას საზოგადოების დახმარება ესაჭიროება. საქართველოს ბანკში გოგა ჭყონიას სახელზე სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

**კახა ჯანაშვილი:**

— გოგა ყველა სატელევიზიო ოჯახმა იცის, ვინ არის! ყველამ იცის აფხაზეთის ომიდან მის მიერ მოწოდებული კადრები, რომლებიც თითქმის ყოველდღე ტრიალებს სხვადასხვა ტელევიზიით.

გოგა ჭყონია უკრაინის ომის დაწყებისთანავე იქ იმყოფებოდა გადაღების მიზნით თავის მეგობრებთან ერთად, რომლებთან ერთადაც აფხაზეთის ომში თვითონაც იღებდა მონაწილეობას. ორი თვე გაატარა გოგამ უკრაინაში და სწორედ იქ გახდა ძალიან ცუდად, რის გამოც იძულებული გახდა, წამოსულიყო.

გოგა ჭყონია — ოპერატორი, ტელეჟურნალისტი და რეჟისორი. მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, მეომარი ვეტერანი, მომღერალი, გორგასლის ორდენის კავალერი და ჩემი მეგობარი. მას დაუდგინდა ცუდი დიაგნოზი: ხორხის სუპერპოზიციური დაზიანება — ავთვისებიანი სიმსივნე, სტადია III. ხორხის მაღალი ხარისხის სქვამოზური ნეოპლაზია. მან უკვე ჩაიტარა ქიმიოთერაპიები და დასხივებები. ყველა რესურსი ამოწურა, როგორც თავისი, ისე სახელმწიფო დაფინანსების. მას ახლა ჩვენი დახმარება სჭირდება, რომ გააგრძელოს ქიმიოთერაპიების კურსი და დასხივება. მომავალში კიდევ რამდენი რამ დასჭირდება, ჯერ ექიმებმაც არ იციან.



იცით თქვენ, რომ მეგობარი, ძმა ქართველი კაცისთვის ყველაფერია. ჰოდა, გოგა სწორედ ის კაცია, ჩემი ძმა და ღირსეული ქართველია, საამაყო შვილი ჩვენი ქვეყნისა, რომელიც გულწრფელ დახმარებას საჭიროებს ჩვენგან, მეგობრებისგან! გთხოვთ ყველას, მცირედით მაინც დავეხმაროთ გოგას სიცოცხლის გადარჩენის მიზნით! გთხოვთ, ყველას!

**ნინი შერმადინი:**

— თუ ვინმეს მიუძღვის რაიმე წვლილი ჩემს აღმოჩენაში, სცენაზე დგომაში და ოცნების დაჯერებაში, ერთ-ერთი გოგა ჭყონიაა. გთხოვთ, დავეხმაროთ ისე, როგორც საკუთარ მამაზე გთხოვდით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ტარიელ ხარხელაური ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდა



პოეტი ტარიელ ხარხელაური საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონია ორბელიანების სასახლეში ტარიელ ხარხელაურის ლექსების კრებულის „სამყარო სამყაროს მიღმა“ პრეზენტაციაზე გაიმართა.

ბრწყინვალების ორდენი სამშობლოს, მთისა და ადამიანების სიყვარულით გამსჭვალული ქართული პოეზიის შესანიშნავ წარმომადგენელს, პოეტ ტარიელ ხარხელაურს ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ხალხური შემოქმედებითი ტრადიციების ღირსეული გაგრძელებისათვის, წარჩინებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გადაეცა.

საქართველოს პრეზიდენტმა მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და პოეტს მისი განსაკუთრებული შემოქმედებისათვის მადლობა გადაუხადა.

## გურამ პეტრიაშვილის „პატარა ქალაქის ზღაპრები“ გერმანულად ითარგმნა




მწერალ გურამ პეტრიაშვილის ცნობილი საბავშვო წიგნი „პატარა ქალაქის ზღაპრები“ გერმანულად ითარგმნა. პროექტი საქართველოს მწერალთა სახლის ხელშეწყობით განხორციელდა.

— ახლა უკვე გერმანულენოვან ბავშვებსაც შეეძლებათ წაიკითხონ სიყვარულით დაწერილი 28 ქართული ზღაპარი და ისიამოვნონ ცნობილი ქართველი მხატვრის ნინო ჩაკვეტაძის ილუსტრაციებით, — ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 19 დეკემბრისათვის

**ვერძი** — ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** — ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** — მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** — ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** — დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** — ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** — კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანკალი** — საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** — კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** — ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** — რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. კურორტი საფრანგეთში, სადაც ჩატარდა ზამთრის პირველი ოლიმპიადა; 3. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა უჯრედშორის სივრცეებში; 5. უბანი ქუთაისში; 6. რძის პროდუქტი; 8. აჭარული ცეკვა; 11. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერის“ სათავო ოფისი; 19. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; 4. სიკო დოლიძის კინოკომედია; 7. მუსლიმანთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 9. მღვდლის ცოლი; 10. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 12. ხელოვნების ქურუმის ტიტულის მფლობელი ქართველი ქორეოგრაფი; 16. დუქნის დახლიდარი; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 18. ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ პერსონაჟი; 20. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 21. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალური სცენური წარმოდგენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

